პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 292 (18834) ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გვიპატაკებენ სოფლის მშრომელები

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, აბაშის, თიანეთის, წალენჯიხის რაიონებისა და ქალაქ ტყიბულის ზონის სოფლის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკისათვის საიუბილეო წელს, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის დავალებანი.

აბაშის რაიონი:

დამზადებულია 1.603 ტონა ხილი; 928 ტონა ჩაი, 2.810 ტონა ხორცი, 4.913 ტონა რძე, 216 ათასი ცალი კვერცხი.

თიანეთის რაიონი:

დამზადებულია 2.576 ტონა ხორცი, 2.595 ტონა რძე, 2.067 ათასი ცალი კვერცხი.

ქალაქ ტყიბულის ზონა:

დამზადებულია 9.857 ტონა ხილი, 1.287 ტონა ხორცი, 1.613 ტონა რძე.

წალენჯიხის რაიონი:

დამზადებულია 35 ათასი ტონა ჩაი, 5,5 ათასი ტონა ხილი, 967 ტონა ხორცი, 1.947 ტონა რძე და 647 ათასი ცალი კვერცხი.

ხალხს-მხოლოდ ხარისხიანი საქონელი!

ბიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა დიდმა ნაწილმა გაადიდა სახალხო მოხმარების საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების ასორტიმენტი, საგრძნობლად გაუმჯობესა მათი ხარისხი. ჩვენი მაღაზიების დახლებზე გაჩნდა ისეთი ნივთები, რომლებიც წინათ დეფიციტურად ითვლებოდა. ახლა გაცილებით მეტი რაოდენობით ეხდავთ მხატვარ-მემოდელეთა რეკომენდაციით დამზადებულ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ახლობით მასობრივი მოხმარების საგანს.

მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო მრავალმა ფაქტორმა და უპირველესად, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამ მიმართულებით მუშაობის გარდაქმნამ. ყრილობაზე, როგორც ცნობილია, ყველა სამინისტროს მიეცა დავალება, თუ რა უნდა გააკეთონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრი გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და განსაკუთრებით მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხს დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე. ამსანაგ ი. ვ. ანდროპოვმა ამ პლენუმზე თავის სიტყვაში თქვა, რომ ხარისხის ეტალონები უშეღავათო უნდა იყოს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს დაუსახა ამოცანა — აამაღლონ მრეწველობის პროდუქციისა და, კერძოდ, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც საწარმოებს, მუშებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს მაქსიმალურად დააინტერესებდა პირველხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებით.

თქმა არ უნდა, მთელ რიგ სამინისტროთა, გაერთიანებათა, საწარმოთა და სხვა ორგანიზაციათა გამართული მუშაობის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობა შიმდინარე წლის დამდეგიდან სისტემატურად ასრულებს მოხმარების საგნების გამოშვების გეგმას. ათი თვის დავალება ამ მხრივ რეალიზებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 107,9 პროცენტი შეადგინა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაუჯართოდა პროდუქციის ასორტიმენტი, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

ყველაფერი რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ჭეშმარიტებაა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ვერ სრულდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დამატებითი დავალება. რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებმა დამატებით ნაცვლად გათვალისწინებული 35 მილიონი მანეთისა ათ თვეში მხოლოდ 11.200 ათასი მანეთის საქონელი დაამზადეს, რაც წლიური გეგმის 32 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით ჩამორჩა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო. უკეთესად საქმე ამ მხრივ არც ზოგიერთ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებშია. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს იმ 45 გაერთიანებიდან და საწარმოდან, რომლებსაც დავალათა დამატებითი ფართო მოხმარების საგნების გამოშვება, გეგმა მხოლოდ 17-მა შეასრულა.

რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც არის „ელვას" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, აგრეთვე ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანებისა და ქუთაისის მოტობლოკების ქარხნები, საერთოდ არ უზრუნიათ დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს დავალება აქონდათ მიღებული ზემდგომი ორგანოებისაგან.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს წლის დამდეგიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამეურნეო დანიშნულების საგნების გამოშვება. ამ მხრივ შარშანდელ შესაბამის პერიოდში მეტ-ნაკლებ კი ვერ გაუსწორდნი. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოების გეგმებს თავს ვერ ართმევენ ხე-ტყის დამამუშავებელი სამინისტრო, „ცეკავშირი", თბილისის გაზის აპარატების ქარხანა, თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანება, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია.

ყოველდღიური მოთხოვნილების ბევრი საქონელი შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ ადგილებზე. ამიტომ, სამინისტროებისა და უწყებების, საგეგმო და საავჭრო ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებასთან ერთად საჭიროა, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე უფრო საფუძვლიანად და, რაც მთავარია, ინიციატივიანად მუშაობდნენ ადგილობრივი მრეწველობა, სამომხმარებლო კოოპერაცია, საბჭოები და მათი შედმივი კომისიები. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეული.

ზოგიერთი საწარმოს მიერ დამზადებული ფართო მოხმარების საქონელი რაოდენობრივად თითქმის საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. დიახ, საკმარისია რაოდენობრივად და არა ხარისხით. სწორედ ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივების ნახელავს ჩვენი მოსახლეობა მაინდამაინც არ ეტანება. ზემოხსენებული სამინისტროების ზოგიერთ საწარმოში ვერა და ვერ შეძლეს ხარისხისათვის ბრძოლის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა.

ახლახან, როგორც უკვე ვიცით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, ისწრაფიან რა ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიის მიერ წამოყენებული პროგრამის განხორციელებაში, გადაწყვიტეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის, იკისრეს 1984-1985 წლების გადიდებული ვალდებულებანი და ყველას მოუწოდეს მიბაძონ მათს მაგალითს.

შეჯიბრების ინიციატორთა მოწოდებას მხარი დაუჭირეს ჩვენი რესპუბლიკის ბევრ შრომითს კოლექტივი და, როგორც ეს დადგენილებაშია აღნიშნული, შედეგად მიღწეულია: მარტო ოქტომბერში სექტემბერთან შედარებით 26,4 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი დამზადდა.

ცხადია, ყოველივე ეს კარგი ინიციატივის სიცოცხლისუნარიანობის კიდევ ერთი დასტურია. ახლა საჭირო, თბილისის ტრიკოტაჟის საცალის საწარმოო გაერთიანების, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის, ქუთაისის ლითოფოლის ქარხნის, სოხუმის გაზის აპარატების ექსპერიმენტული ქარხნის, ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივების მსგავსად, ვალდებულებანი მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების შესახებ იკისრონ რესპუბლიკის ყველა სამინისტროს უწყებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მხრივ დაუდეკარი მუშაობა ყოველად შეუწყნარებელია. ამ საკითხს მთელი გულისყურით უნდა მოეკიდონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, სახალხო კონტროლიორები, მდგომარეობა მოკლე ხანში უნდა გამოსწორდეს. ფართო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების წარმოების გეგმების შედეგნა მთელი სერიოზულობით უნდა მივუდგეთ, გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა და გამბედაობა, თამამად მოვსწინაო წარმოებიდან მოძველებული, მომხმარებლის მიერ დაწუნებული პროდუქცია და მის მაგივრად ავითვისოთ ისეთი, რომელიც მოსწონს მოსახლეობას. ამით თავიდან ავიცილებთ ზენორმატიულ ნაშთებს, რომელიც ასე ძვირად რომ აწევს ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებას.

მასობრივი მოთხოვნის საქონლის სიუხვეზე, ხარისხზე ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების გუნება-განწყობილება. ჩვენს რესპუბლიკას აქვს ეკონომიკის წინსვლის ღრმად გაბრწყინებული, ფეიერულად დასაბუთებული კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრი ზრდა, მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამ პროგრამის უფრო განხორციელება — დღეს თითოეული ჩვენგანის ღირსების საქმეა.

რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლებისადმი მოპოვებულ ახალ შრომით წარმატებებს

წელიწადს აგვირგვინებს

დამკვრელური გარჯის ნაყოფი!

საწარმოო გაერთიანების „საქსამთოქიმმრეწვის" კოლექტივმა, რომელიც ასრულებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს და ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობის გაზრდისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, 1983 წლის 10 ნოემბრისათვის შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის დავალება, ხოლო დღეისათვის შესრულდა წარმოების გეგმაც.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ წლებში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა დავალებით გათვალისწინებული 111,5 პროცენტის ნაცვლად 120,7 პროცენტი შეადგინა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4,4 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, აქედან 2,5 მილიონი მანეთისა — შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მუშაობის ჩინებული მაჩვენებლების მიღწევისათვის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივს პირველი ადგილი მიეხიბა და სამინისტროს და ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

გაერთიანების 1800-ზე მეტმა შრომმელმა კარგა ხანია დაამთავრა პირადი სამწლიანი დავალების შესრულება და წარმატებით შრომობს მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში. ამთავრებენ რა წელს „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების საწარმოთა კოლექტივები მარტო იმისათვის როდი იღვწიან, რომ უზრუნველყონ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დასახული მოცულობანი.

უნდა მოვიხსენიოთ ენთუზიასტები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი მუყაოთი გარჯით, შრომისადმი, საქმისადმი დამოკიდებულებით, ორგანიზებულობით და დისციპლინით, ინიციატივით და ოსტატობით. ასეთნი გაერთიანებში ცოტანი არ არიან, მაგალითად ერეკლე მენაბდე — დიდტვირთიანი თვითმცლელის მოწინავე მძღოლი, დაუშრომელი მუშაკი, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე და საკავშირო პროფსაბჭოს პრემიის ლაურეატი; ჩორდის ბარატის მაღაროთასმმართველოს და „საქგუმბრინის" მაღაროთასმმართველოს მაღალი კლასის ზეინკლები შალვა ორდენიძე და გურამ სინაურიძე — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატები 1810 მოწინავე მუშა, რომლებმაც შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის საგეგმო დავალება, და 31 მუშა, რომლებიც „მეთერთმეტე ხუთწლედის დამკვრელის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ. ესენი და თავიანთი საქმის სხვა ოსტატები იმათგანი არიან, რომლებმაც იციან სიძნელეთა დაძლევა, დასახული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში ამხანაგების დახმარება.

მიღწეულ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს მახარაძის მაღაროთასმმართველოს კოლექტივმა (დირექტორი — თ. ქილოთარი, პარტორგანიზაციის მდივანი — რ. ბერიძე), მაღაროთასმმართველოს პროფკომის თავმჯდომარე — შ. კუპრაძე), რომლებმაც ხუთწლედის სამი წლის დავალების 1983 წლის 11 ნოემბრისთვის უზრუნველყვეს, სარემონტო-მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი — ნ. სიმონია, პარტორგანიზაციის მდივანი — ვ. ჯაჩვაძე, საქარხნო პროფკომის თავმჯდომარე — დ. ბოსტოღანაშვილი), რომელმაც ხუთწლედის სამი წლის დავალება 1983 წლის 1 აპრილისათვის შეასრულა; „საქცეოლითის" საწარმოებმა (დირექტორი — ნ. ვაშაკიძე, პარტორგანიზაციის მდივანი — ა. დვალიშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ნ. ბარგიშვილი), რომელმაც ხუთწლედის სამი წლის დავალების შესრულება 1983 წლის 4 აპრილისთვის უზრუნველყვეს; „საქგუმბრინის" მაღაროთასმმართველომ (დირექტორი — ლ. გურგენიძე, პარტორგანიზაციის მდივანი — რ. ჯოჯუა, ადგილკომის თავმჯდომარე — ა. ფუტურიძე), რომელმაც ხუთწლედის სამი წლის გეგმის შესრულება 1983 წლის 18 ნოემბრისთვის უზრუნველყო.

მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებას მნიშვნელოვანწილად შეეწყო ხელი „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების სოციალური განვითარების გეგმის განხორციელებამ.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საეწესლოტაციოდ ჩაბარდა საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, მთავრდება შავი ზღვის სანაპიროზე, ურეკში 330-ადგილიანი დასასვენებელი ბაზის აგება, დაიწყო შოვისა და ბაკურიანის დასასვენებელი ბაზების მშენებლობა.

ქალაქ ქუთაისში ამოქმედდა სპორტული კომპლექსი.

„საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით და შეგნებული აქვთ, რომ უნდა დაძლიონ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ყველა სიძნელე, გადაუხდეს თავიანთ საწარმოო შესაძლებლობებს და ვალდებულება იკისრეს 1983 წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოუშვან და გაიასღონ სულ ცოტა მილიონი მანეთის ზრდა პროდუქციაზე.

საქართველოს სამთოქიმიური მრეწველობის მშრომელები კვლავაც ამრავლებენ თავიანთ წვლილს კომუნისტური მშენებლობის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ნ. ცხაკაია,
„საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

კვლავაც დაჩქარებული ტემპით

●●

„საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივში კარგად იცნობენ შემდეგ ადამიანთა ბრიგადას, რომელსაც ზოია ბაიკაძე მეთაურობს. ჩვეულებრივ, ამ ბრიგადის წევრებს ავალებენ ხოლმე ყველაზე პასუხსაგებ ოპერაციებს და ისინიც წარმატებით ართმევენ თავს დავალებებს.

ს ურ ა თ ი ს ე: შემდეგი ბრიგადირი ზ. ბაიკაძე.

ფ. ა ბ რ ი მ ს ა ძ ი ს ფ ო ტ ო.

შეადარეთ ეს ციფრები:

1976-1980 წლებში სახელმწიფოს საშუალოდ მიეყიდეს:

აბაშის რაიონსა — 1.460 ტონა ხილი, 3.087 ტონა რძე, 174 ათასი ცალი კვერცხი.

თიანეთის რაიონსა — 2.340 ტონა ხორცი, 1.281 ათასი ცალი კვერცხი.

ქალაქ ტყიბულის ზონამ — 6.479 ტონა ხილი, 1.177 ტონა ხორცი, 1.857 ტონა რძე.

წალენჯიხის რაიონსა — 27.849 ტონა ჩაი, 8.809 ტონა ხილი, 548 ტონა ხორცი, 1.494 ტონა რძე. (საქინფორმი).

ვადამდე გაანაღდეს

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, ქალაქების სოხუმისა და ფოთის მშრომელებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკისათვის საიუბილეო წელს, ვადამდე შეასრულეს სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის 1983 წლის გეგმები და დავალებები. (საქინფორმი).

ჰიდრომშენებლების წარმატება

ლენინის ორდენოსანი ტრესტის „საქჰიდროენერგომშენის" კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 77 მილიონ 460 ათასი მანეთის საჯიჯრო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაცვლად ჰიდრომშენებლებმა დეკემბრის პირველი დეკადის ბოლოსათვის 77 მილიონ 580 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. წლის ბოლომდე კიდევ 5 მილიონი მანეთის სამუშაო შესრულდება.

კოლექტივი მეთერთმეტე ხუთწლედის დაწყებიდანვე გრაფიკის გასწრებით მუშაობს, — თქვა ტრესტის მმართველის მოადგილემ გ. ახალაიამ. — სამი წლის გეგმა ჩვენ 7 ნოემბრისათვის შევასრულეთ.

ტრესტის კოლექტივი მთავარ ყურადღებას ელექტროენერგეტიკის ობიექტებს უთმობს. თერთმეტი თვის განმავლობაში ამ დარგში დავალებები ასიათასობით მანეთის გადაჭარბებით შეასრულეთ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი ჰიდროსადგურების — ხუდონისა და ვარციხის სადგურების, აგრეთვე ენინგალის კომპლექსური ჰიდროკვანძის მშენებლობა. აქაც მიმდინარე წლისა და ხუთწლედის სამი წლის დავალება ვადამდეა შესრულებული.

ამაში დიდად შეგვწყო ხელი შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის, მათ შორის ენინგალელთა მიერ გამოყენებული უბნის ჯარის ფართო გამოყენებამ. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

20 დეკემბერს მორიგი მეცადინეობა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების სემინარ-ლექტორიუმმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

„მეცნიერება-ტექნოლოგია-ეკონომიკა" — ასეთი იყო სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კვანტის" გენერალური დირექტორის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ნ. ს. ლიდერეწკოს გამოსვლის თემა. (საქინფორმი).

წარმომადგენელთა დასახელება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

20 დეკემბერს ქვეყანაში გაგრძელდა წარმომადგენელთა დასახელება სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ბაქოში გამართული კიბლის მანქანათაშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელა საწარმოს მფარავი ბრიგადირი ო. ა. ბაგიროვი.

გაიმართა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. მისმა მონაწილეებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლად დაასახელეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი.

მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის აკადემიური მუსიკალურ-დრამატული თეატრის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლად დასახელებულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ტ. დარიენკო, უპარტიო.

ლენინგრადის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია სკკპ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ფ. სოლოვიოვი.

გაიმართა კლაპედის გემთსაშენებელი ქარხნის „ბალტიის" მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლად დასახელა გემომშენობა კ.—რ. პ. კუზმაუსკასი, უპარტიო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტისაგან დასახელეს ამ კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. ჟელტოვი.

გროდნოს საოლქო პარტიული ორგანიზაციისაგან ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია ბელორუსიის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. გ. კლეცკოვი.

ჩიმკენტის ოლქის სახელმწიფო ჯიხესაშენის „ზადარიხსკის" კოლექტივის კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლად დასახელებულია მეურნეობის დირექტორი ბ. შუკურბეკოვი. (საადესი).

* * *

20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომლის დღის წესრიგში იყო წარმომადგენლის დასახელება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ წინადადება წამოაყენა კომისიის შემადგენლობაში დასახელონ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილი. მან იგი დაახასიათა როგორც უნარიანი ორგანიზატორი, გამოცდილი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც უნარი შესწევს პირნათლად გაამართოს მისთვის გამოცხადებული დიდი ნდობა. იგი არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, არჩეული იყო სსრ კავშირის მერვე, მეცხრე და მეათე მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის კომისიის წევრი.

თ. ი. მოსაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. დ. გელაშვილმა, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ზ. გ. სარალიძემ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გ. ჩიმბეკოვიანმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი დაასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან

20 დეკემბერს დაიწყო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან წარმომადგენელთა დასახელება.

მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივის საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლის დასახელებას, გაიმართა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში.

კრება გახსნა გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გ. კალანდაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი სახალხო ხელისუფლების დამაჯერებელი დადასტურება.

სიტყვა ეძლევა საამწყობო საამქროს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს ა. გ. გიორგაძეს. მან წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად დაასახელა მოწინავე კოლმეურნე იზოლდა ბორისის ასული ხორავა.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მეკაპარატე, უპარტიო ნელი პეტრეს ასული ბურიანოვა საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივის საერთო კრებაზე დაასახელეს წარმომადგენლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მშრომელებმა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თავიანთ წარმომადგენლად დაასახელეს მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი სერგო გიორგის ძე ზურნაჯიანი.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციის კოლექტივის კრებაზე საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელეს გაზეთის რედაქტორი მიხეილ დანიელის ძე დავითაშვილი.

გარდაბნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ისაკ მახმადის ძე ნოვრუზოვი დასახელებულია წარმომადგენლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციის მიერ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში წარმომადგენლების დასახელება მიმდინარეობს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციები

მუშაობის საფუძველია მაღალი მოთხოვნელობა

სამხრეთ ოსეთის კომუნისტები თანამიმდევრულად ადგანან კურსს, რომელსაც რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია აბორიგენების მთის რეგიონების დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში.

...პრაქტიკულად შეწყდა შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია მთის დაბა კვაისიდან. საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოებთან ერთად შემუშავებული მისი აღორძინების კომპლექსური პროგრამა ხორცს ისხამს — აქტიურად მიმდინარეობს სამრეწველო, საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა.

ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკის აშენების შედეგად განისაზღვრა მთის მხარის ინდუსტრიის ზუსტი სპეციალიზაცია მასობრივი მოხმარების ნაწარმის დამზადებაში. საწარმომ მნიშვნელოვნად გაზარდა ქალაქის ქალთა დასაქმება.

...ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მთავრდება, არა მარტო მისცემს მთელ ამერკავკასიის ახალ, ნებისმიერ ამინდში მოქმედ სატრანსპორტო არტერიას, რუსეთის სფს რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებთან რომ დაკავშირებს მას, არამედ მნიშვნელოვნად დაეჩქარებს კიდეც სამხრეთ ოსეთის მთის სოფლების განვითარებას.

ესა და სხვა ფაქტები, რომლებიც მოწმობს დიდ ყურადღებას ავტონომიური ოლქის საწარმოო ძალების განვითარებისადმი, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე, გაისმა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე.

წარმატებით ასრულებენ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესამჩნევი აღმავლობა, უნარიანად ახმარენ ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომპლექსის ინტენსიფიკაციისა და შემდგომი სპეციალიზაციისთვის მუშაობას, დღენიადაგ ზრდიან ამ საფუძველზე მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის გამოშვებას.

ამ განუხრელ წინსვლაში, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა, დადამწყვეტი როლი ეკუთვნის პარტიულ ორგანიზაციებს, ავტონომიური ოლქის ყველა კომუნისტს, რომელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდა მუშაობა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გადაჭრით განმტკიცებისათვის, მუშაობის მინდობით უბანზე კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, თითოეულ შრომითს კოლექტივში მკაცრი მომთხოვნელობის, გერგილიანობის ატმოსფეროს შექმნისათვის, როგორც ამას მოითხოვს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ორგანიზატორული, აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებით ავტონომიური ოლქის პარტიულმა კომიტეტებმა უზრუნველყვეს ქალაქისა და რაიონების, სამრეწველო საწარმოებისა და მეურნეობების ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების შედეგების წარმატებული რეალიზაცია. უნარიანად რაზმავენ მშრომელებს პროდუქციის წარმოების მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხის მიღწევისათვის ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის, ხე-ტყის კომბინატის, ქარხანა „ემალსადენის“, მექანიკური ქარხნის, მთელი რიგი სხვა საწარმოების პარტიული ორგანიზაციები. სამხრეთ ოსეთის კომუნისტების ინიციატივით ზოგიერთ საკავშირო სამინისტროსა და პრინციპულად ახალ სახეობათა ვიბრაციული მანქანების შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვის ამოცანები, რომლებიც ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით უნდა სჯობდნენ საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი, აღნიშნეს კონფერენციის დელეგატებმა, უნდა ხედავდნენ პერსპექტივას, კომპეტენტურად სწვდებოდნენ საქმის არსს, შეეძლოთ ოპერატიულად დაძლიონ ნაკლოვანებანი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲡᲡᲚᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲘᲙᲐ

არჩევნები ჩვენს ქვეყანაში დამჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენში ნამდვილი სახალხო ხელისუფლებაა.

ვ. ი. ლენინი სოციალისტური დემოკრატიის შესახებ.

საბჭოთა საზოგადოება რეალური დემოკრატიის საზოგადოებაა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია განასახიერებს სახალხო ხელისუფლების ლენინურ პრინციპებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა.

საბჭოთა ხელისუფლება ხალხისა და ხალხისათვის ხელისუფლებაა.

სსრ კავშირი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოა.

სკკპ საქმიანობა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

შრომითი კოლექტივების შესახებ კანონი ახალი ნაბიჯია მშრომელთა უფლებების გაფართოების გზაზე.

სოციალისტური ცხოვრების წესი ჩვენი დიდი მონაპოვარია.

სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალობა.

ერებისა და ეროვნებების თანასწორუფლებიანობა სსრ კავშირში.

საბჭოთა ადამიანების უფლებათა და მოვალეობათა ერთიანობა.

საბჭოთა კანონების განუხრელი დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.

შრომა ჩვენი სამშობლოს ძლიერების საფუძველია.

შრომის ნაყოფიერების გაზრდა საკვანძო ამოცანაა.

მომჭირნეობა და ყაირათიანობა თითოეულის საქმეა, საერთო საზრუნავია.

შრომის დისციპლინის დონე კოლექტივის იდეური და ზნეობრივი სიმწიფის მაჩვენებელია.

ახალი მოთხოვნები სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისადმი.

ბრიგადული იჯარა შრომის ორგანიზაციის ეფექტიანი ფორმაა.

ხელშეკრულებებისა და შეკვეთების მიხედვით მიწოდების შესრულებას — ყოველდღიური უურადღება.

სახალხო მოხმარების საქონელს — მაღალი ხარისხი.

საბინაო მშენებლობის გაქანება ჩვენს ქვეყანაში.

სახელმწიფოს ზრუნვა საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ფართო მასებისათვის სახელმწიფო მართვის სკოლაა.

საბჭოების როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

დეპუტატობის კანდიდატები ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები არიან.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული ხასიათი.

კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება და საქმიანობა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის განსახიერებაა.

ჩვენი ქვეყანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს შუა პერიოდში.

არჩევნებიდან არჩევნებამდე (კოლექტივის, რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ).

განაწესები დეპუტატებს: როგორ სრულდება ისინი.

პროფკავშირების როლი საბჭოთა საზოგადოებაში.

ლენინური კომკავშირი პარტიის აქტიური თანაშემწეა.

საბჭოთა ქალები საზოგადოების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი წევრები არიან.

პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა გამოცდილება ჩვენი ფასდაუდებელი სიმდიდრეა.

საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

განათლება სსრ კავშირში ხელმისაწვდომი და უფასოა.

სოციალისტური მრავალეროვნული კულტურის აყვავება.

იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მთელი პარტიის საქმეა, თითოეული კომუნისტის მოვალეობაა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საცხოვრებელ ადგილას.

სოციალისტური დემოკრატიის ' უპირატესობა ბურუჟაზიულ დემოკრატიასთან შედარებით.

სოციალიზმის ფუნდამენტური ღირებულებანი.

ორი სამყარო — ორი ცხოვრების წესი.

მშრომელთა უფლებებისა და თავისუფლებების ჩახშობა კაპიტალის სამყაროში.

მასობრივი უმუშევრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბურუჟუაზიული საარჩევნო სისტემის ანტიდემოკრატიზმი.

ბურუჟუაზიული დემოკრატიის ანტიხალხური არსი.

სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა მშვიდობის დაცვისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის 1983 წლის 24 ნოემბრის განცხადება მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე, გადამწყვეტ და თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი მშვიდობის, პროგრესისა და თავისუფლების მტერია.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ავანტიურისტული, მილიტარისტული კურსი მთავარ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება საბჭოთა ადამიანების პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა.

საბჭოთა არმია საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის საიმედო გუშაგია.

1984 წელი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების რეალიზაციისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

ჩვენი კოლექტივის ამოცანები ხუთწლედის მეოთხე წელს.

ჩვენი საწარმოს შემხვედრი გეგმა.

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი.

მომავალ მოსავალს — ყურადღება და ზრუნვა.

შენი პირადი წვლილი ხუთწლედში.

შრომაში ახალი მიღწევებით აღვნიშნოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები!

მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელს ჩინებული მაჩვენებლებით ამთავრებენ მცხეთის რაიონის სახორცე ქათმის საჯიშე რეპროდუქტორის მეფრინველეები. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 8800 ცენტნერი ხორცი, რაც საგეგმო დავალებას 210 ცენტნერით აღემატება.

საწარმოში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 582 ათასი მანეთის გადამეტებით.

სურათებზე (მარცხნიდან): **რეპროდუქტორის ოპერატორი ი. ისკანოვი, ბრიგადირი ზ. ჯაფარიძე, ოპერატორები ც. ჩუგუაშვილი და ნ. ერაძე; მოწინავე მეფრინველე-ოპერატორი ნ. ვეშაპიძე.**

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲓᲠᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲝᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲚᲐ

დეკემბერი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოლექტივებმა, საბჭოთა მეურნეობებმა დამკვრელურად გამოაცხადეს და საგრძნობლად უმატეს შრომის ტემპს, უქმად არ კარგავენ არც ერთ საათსა და წუთს, იკლო სამუშაო დროის გაცდენებმა და დაგვიანებებმა, უფრო სრულყოფილი გახდა ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა.

მომდინარე თვის პირველ და მეორე დეკადაში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ასობით საამქრო, უბანი და ბრიგადა აღწევს უფრო დამაჯერებელ შედეგს. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მთელი რიგი სირთულეების, დაბრკოლებების მიუხედავად, რესპუბლიკის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ხუთწლედის მესამე წლის გეგმები უთუოდ შესრულდება.

დიახ, ეს უდავოა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ სირთულეებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებაში ყველას წვლილი ერთნაირი არ იქნება. საფრთხეში აღმოჩნდა სახელმწიფო გეგმების შესრულება რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ დიდ საწარმოში. მათ შორის, უპირველესად, რუსთავის „აზოტის“ საწარმო გაერთიანება უნდა დავასახელოთ. დეკემბერში გაერთიანების კოლექტივს წლიური გეგმის მთელი მოცულობის 13,2 პროცენტი აქვს შესასრულებელი, თავს გაართმევენ კი ასეთ დაძაბულ დავალებას? ძალზე საეჭვოა. სხვა რომ არა იყოს რა, სამუშაო დროის ფონდში ვერ შეაღწევიან და ამიტომ ვერ შეასრულებენ ისედაც მკაცრების მიმართულებით კორექტირებულ გეგმებს. „აზოტის“ გაერთიანება რომ ასეთ სავალალო შედგომარეობაში ჩავარდა, ეს ერთბაშად არ მომხდარა; ნაკლოვანებანი წლის დამდეგიდან ნელ-ნელა გროვდებოდა და აჩა მთლიანად იჩინა თავი. რუსთაველ ქიმიკოსებს წინ დაბედათ პროდუქციის რეალიზაციის საქმეში გასული თვეების დიდი ჩავარდნები, მთელი რიგი წამყვანი საამქროების ტექნოლოგიურ დანადგართა გაუმართავი მუშაობა, დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეები, შრომის სუსტი დისციპლინა.

მეორე დიდი ორგანიზაცია, რომლის წმიდადაც დეკემბერში შესასრულებლად წლიური გეგმის დიდი რაოდენობა — 12,1 პროცენტი მოდის, „საქმთავარენერგოს“ სამმართველო გახლავთ. სხვათა შორის, ზემოხსენებულ „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებას პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობაში მზა ნაწარმის გარდამავალი ნაშთის უქონლობაც უშლის ხელს, მაგრამ ეს „საქმთავარენერგოს“ არ ეხება. მის პროდუქციას ვერ შეინახავ ვერც საწყობში და ვერც მაცივარში, ვერც დაკონსერვებ. გამომუშავებულ ენერგიას იღებს და დაუყოვნებლივ ხარჯავს მომხმარებელი. ეს კი იმის ნიშნავს, რომ ენერგიის წყაროები ყოველთვის გამართულად, შეუფერხებლად უნდა მოქმედებდნენ და აღჭურავდნენ თავიანთი პროდუქციით მრეწველობას, მოსახლეობას, სხვა ორგანიზაციებს. სამწუხაროდ, „საქმთავარენერგო“ წლის დამდეგიდან კორექტირებული გეგმით მუშაობს. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეა ჰიდროელექტროსადგურებში წყლის არნახულმა სიმცირემ და თბილისის სახელმწიფო თბოელექტროსადგურის ზოგიერთი აგრეგატის არადამაკმაყოფილებელმა ტექნიკურმა მდგომარეობამ. ამიამად რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურები მთლიანად და კერძოდ, ენგურჰესი მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ და იძლევიან გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტ ენერგიას. რაც შეეხება თბილისის თბოელექტროსადგურს, მისი ტექნიკური მდგომარეობა ღღესისთვის დამაკმაყოფილებელია და მომავლისათვის აქ შეფერხებები აღარ უნდა იყოს. „საქმთავარენერგოს“ კოლექტივი წინათ ყოველთვის იყო ხოლმე ჩვენს რესპუბლიკაში გაწლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში და, იმედია, დაიბრუნებს თავის პოზიციებს, უზრუნველყოფს ელექტროსადგურების დანადგართა სტაბილურ მუშაობას, შექმნის საჭირო რაოდენობის საწვავის მარაგს თბოელექტროსადგურების დაუყოვნებლივი მოქმედებისათვის, მეტად შეამცირებს ტრანსპორტირებისას ენერგიის დანაკარგებს.

ჩვენ შევეჩვიეთ თბილისის „ელექტროაპარატისა“ და „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებების კოლექტივთა კარგ მუშაობას. მეცხრე, მეათე ხუთწლედებში და მომდინარე ხუთწლედის დამდეგიდან ამ ორგანიზაციებს, როგორც წესი, საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ ასახელებენ. აქვე დავძენთ, რომ მათი გზა წარმატებისაკენ ია-ვარდით მოფენილი არასდროს არ ყოფილა. გამარჯვებებს მხოლოდ და მხოლოდ თავდადებული შრომით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, ხელმძღვანელთა კომპეტენტურობით აღწევენ. ჰოდა, მათი ოდნავი წარუმატებლობაც კი არასასიამოვნო ემოციებს იწვევს ხოლმე. საქმე ის არის, რომ პირველ მათგანს დეკემბერში წლიური გეგმის 8,9 პროცენტი, ხოლო მეორეს 9 პროცენტი აქვთ შესრულებული. „ელექტროაპარატის“ გაერთიანების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის კორექტირება მნიშვნელოვანი ზრდის მიმართულებით მომხდარა და ამას, ცოტა არ იყოს, გაუგებრობა გამოუწვევია. გაერთიანების გენერალური დირექტორის ა. ხუროძის რწმენებით, გეგმის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება, უფრო მეტიც, წინასწარი გამოანგარიშებით, დავალების გადამეტებით აქ 700 ათასი მანეთის პროდუქციას დაამზადებენ.

ასევე იტალიმისტური განწყობილებაა „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებაში. მისი ხელმძღვანელობა მომხმარებელს წლიური გეგმის გადამეტებით 50 ათასი მანეთის ელექტრონიკას ჰპირდება. ეს შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, „საქელექტრომანქანაში“ სუსტია შრომის დისციპლინა. დროის დანაკარგებისა და, კერძოდ, სამუშაოს გაცდენის მაჩვენებლების მიხედვით ეს ორგანიზაცია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა რესპუბლიკის მრეწველობაში.

თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას ამ თვეში წლიური გეგმის თერმეტი პროცენტი დარჩა შესასრულებელი. საქმის ასეთი ვითარება ძირითადად, ლოკომოტივის მაკომპლექტებელ, განსაკუთრებით კი საეკიპაჟო ნაწილების უქონლობას უკავშირდება. ეს ნაწილები, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთან შემოდის. მომწოდებელი საწარმო ვერ უზრუნველყოფს მათს დროულ შემოტანას, არღვევს სახელშეკრულებო დისციპლინას. ამ საკითხზე დღეს შეიძლება არც გველაპარაკა, რომ თბილისის „ელმავალმშენებლის“ რეკონსტრუქცია არ გაჭიანურებულიყო, მშენებლობის პროექტი რომ რამდენჯერმე არ გადასინჯულიყო, როცა გაერთიანების განახლება დამთავრდება, ლოკომოტივების ყველა ნაწილს ადგილზე დაამზადებენ და საქმესაც ეშველება. ამიტომაც, საჭიროა მაქსიმალურად დაჩქარდეს წარმოების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ელმავალმშენებლებს წინსწარში ხელს უშლის სხვა ფაქტორებიც, მათ შორის — არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, დიდძალი ზენორმატიული ნაშთები.

თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება რამდენიმე წლის წინათ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, არ სრულდებოდა პროდუქციის გამოშვება-რეალიზაციის გეგმები. ამ ბოლო ხანს საქმეს საგრძნობი წინსვლა დაეტყო. მთელი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით ბევრი რამ მოგვარდა. დიახ, ბევრი რამ გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ ვერ შეიქმნა სტაბილური მუშაობის საერთო ატმოსფერო. დეკემბერში წლიური გეგმის მოცულობის საკმაოდ დიდი რაოდენობაა შესასრულებელი. საწარმოს წელში გამართვას არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობაც აბრკოლებს: დაგროვდა აუარებელი ზენორმატიული ნაშთი. საქმე ის არის, რომ წარმოებიდან მოიხსნა ერთ-ერთი მოდელის ჩარხი და მის დასამზადებლად შეძენილი მაკომპლექტებელი ნაწილები ზედმეტი აღმოჩნდა. ეს „ზედმეტი“ ნაწილები კი ფინანსურ ტვირთად აწვება გაერთიანებას.

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲚᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲥᲜᲔᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲐ?

სამეურნეო წლის დასასრულამდე ათი დღე დარჩა. ბევრგან უკვე გამოიკვეთა, რომ მისი გეგმები სრულდება, ბევრგან ჯერჯერობით ამის სასიკეთო კონტურები მოჩანს, ზოგან კი საქმე სახარბიელოდ ვერ მიდის.

რა თქმა უნდა, ახლა თამამად ის შრომითი კოლექტივები გამოიყურებიან, რომლებმაც ნაკისრი ვალდებულებანი შეასრულეს და ქვეყანას გათვალისწინებულზე მეტ სამრეწველო თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აძლევენ. მათ ხომ მთელი წელიწადი თავდაუზოგავად იშრომეს, გამოძებნეს გზები დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, აამოქმედეს რეზერვები, და ამ საქმეში მათ მხარში ედგა ჩვენი პრესა. სწორედ პრესა მონაწილეობდა რეზერვების ძიებაში.

გაზეთ „თრიალეთის“ (დმანისი) გაცნობამ კი დაგვანახვა, რომ მის ფურცლებზე სამეურნეო ორგანიზაციათა თაოსნობა იწერებოდა მაგრამ მის ხორცშესხმაზე მერე თითქმის აღარაფერს წერდნენ, ან თუ წერდნენ, არა ისე მასშტაბურად, როგორც პირობის დადებისას.

დმანისელებს კი ძალიან საინტერესო სამეურნეო წელიწადი ჰქონდათ. საამისო წინამძღოლები მათ შარშან და შარშანწინვე შექმნეს. სრული შემობრუნების წელიწადი გახლა 1982 წელი, როცა რაიონის ისტორიაში პირველად დამზადდა საგეგმიზე ბევრად მეტი კარტოფილი, 2457 ტონა ხორცი, 8868 ტონა რძე, 1537 ცენტნერი მატყლი, 1819 ათასი ცალი კვერცხი. ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ წელიწადში მნიშვნელოვნად გაზარდეს და დავალების გადამეტებით 514 ათასი მანეთის ნაწარმი გამოუშვეს. ამ შედეგებისათვის რაიონი რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

სწორედ მაშინ დმანისის რაიონის პარტიული სამეურნეო აქტივის კრებაზე იშვა ახალი თაოსნობა, რომლის მიხედვითაც რაიონის მშრომელებს ახალი სამეურნეო მიღწევებისათვის უნდა ებრძოლათ. საბედნიეროდ, დმანისელები კვლავ კარგად შრომობენ და თაოსნობით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ კიდეც. მაგრამ მათს შრომითს შემართებაზე, იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა თაოსნობა, დმანისის რაიონული გაზეთი „თრიალეთი“ თითქმის არაფერს ამბობს. თითქმის-თქმა, იმიტომ გამბობთ, რომ კვარტალების დასასრულს სოციალისტური შეჯიბრების ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნება არ ჩაეთვლება „თრიალეთს“ საკუთარ სიტყვად, იმ საქმეში თანადგომად, რომელსაც შესაჯიდებიან დმანისელები.

დმანისის რაიონს იმდენი სტუმარი არასოდეს არ ჰყოლია, რამდენიც წლეულს. რომელი რაიონიდან აღარ ჩადიოდნენ მათი უგანრიგო რგოლების გასაცნობად და გამოცდილების შესაძენად. „თრიალეთის“ რედაქციამაც იცოდა, რომ უგანრიგო რგოლების მუშაობის გაშუქება მათი პირდაპირი მოვალეობა იყო, მაგრამ როგორ აკეთებდნენ ამას? მიმდინარე წლის მარტის ნომრებში ჯერ ქართულად, ხოლო შემდგომ აზერბაიჯანულად გადმობეჭდილია გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ვრცელი მასალა — „დმანისური უგანრიგო რგოლები“. ეს გაზეთს დიახაც რომ, უნდა გაეკეთებინა, მაგრამ საკუთარი ჟურნალისტური პროდუქციაც ხომ უნდა ჰქონდეს ხოლმე? „თრიალეთს“ ხომ საკუთარი სიტყვა შეუქმნიდა ავტორიტეტს!

„თრიალეთის“ მთელი წლის ნომრების გაცნობით იმგვარი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ ოღონდაც უგანრიგო რგოლზე ყოფილიყო ლაპარაკი, და ყველა მასალას ბეჭდავდნენ. ასე გამოაქვეყნეს, მაგალითად, წერილები უზბეკეთიდან, დაბეჭდეს საკდესისა და საქნეფორმის მასალები, იზიარებენ, ვთქვათ, ხობელთა გამოცდილებას, მაგრამ სად არის საკუთარი გამოცდილება, თავიანთი გაკეთებული საქმე, სიახლეები აქ მშვენივრად დაწყებულ უგანრიგო რგოლეშის მუშაობაში? — ამაზე არაფერს ამბობს „თრიალეთი“. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ სხვა რაიონებიდან დმანისში ჩადიან გამოცდილების შესასწავლად, ადგილობრივ გაზეთში კი არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა აქვთ საინტერესო დმანისურ უგანრიგო რგოლებს.

სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას სუსტად აშუქებენ აგრეთვე მარნეულს, ყაზბეგისა და თეთრი წყაროს რაიონული გაზეთები. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი როდია. ამგვარი მუშაობის მიზეზები ბევრია. ზოგჯერ რედაქცია ვერ აბერხებს თავისი წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს.

„თრიალეთს“ კიდევ შეუძლია წარმოაჩინოს იმ კარგი საქმის ნათელი სურათები, რომელსაც თაოსნობის შედეგებსა და სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაში ვხედავთ.

Ჯ. ᲥᲣᲠᲗᲔᲚᲘ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲔᲑᲘ

გაიმართა წითელწყაროს რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეულმა რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. ბ. ჭარაქაშვილი**, მეორე მდივნად — **ვ. ლ. ხარხელაური**, მდივნად — **მ. გ. მეხრიშვილი.**

გაიმართა წყალტუბოს საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პარტიის ახლად არჩეულმა საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა აირჩია **გ. ხ. აბზიანიძე**, მეორე მდივნად არჩეულია **ბ. რ. ბერიძე**, მდივნად **შ. ბ. შოვნაძე.** (საქინფორმი).

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ - ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲘᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲢᲧᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 13 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „ჯადოსნური წრე და უიღბლო ვაგონი“ საკავშირო ორგანიზაციებში უხარისხო ავეჯის შეტანის ფაქტებს ეხებოდა. ამის გამო საქართველოს სსრ ხეტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე შ. ჯაოშვილი რედაქციას სწერს:

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ახალდაბის ავეჯის ფაბრიკაში დამზადებულ უხარისხო ავეჯსა და მის რეალიზაციაში დაშვებულ უხეშ დარღვევებს, სიმართლეს შეესაბამება.

ახალდაბის ავეჯის ფაბრიკაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სამინისტროს კოლეგიამ და პარტიის ბორჯომის რაიკომის ბიურომ მოაწყვეს გაერთიანებული გამსვლელი სხდომა. მიღებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებანი. კერძოდ, თანამდებობიდან განთავისუფლდნენ ფაბრიკის დირექტორი ა. მოსიძე და მთავარი ინჟინერი ბ. ქეკანიშვილი.

ამასთან სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა ახალდაბის ავეჯის ფაბრიკაში მოწყობილი კომპლექსური რევიზიის შედეგებზე. კოლეგიამ არსებული ნაკლოვანებებისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლა დირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში კ. რევაზიშვილი და საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ზ. ბლიაძე.

სამინისტრომ დაავალა ფაბრიკის ახალ ხელმძღვანელობას მთლიანად გარდაქმნის მუშაობა, სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, აამაღლოს სახელმწიფო, შრომის და სახელშეკრულებო დისციპლინა.

სამინისტროს კოლეგიამ მინისტრის პირველ მოადგილეს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ახალდაბის ავეჯის ფაბრიკას.

20 დეკემბერი

ეკლესია

ფაქტები მოვლენები

საკლასო იუფყეგა

გემი „კოლხიდა“ და მოქალაქეობრივი პოზიცია

თუ გიმოგზაურიათ „კოლხიდით“, უთუოდ გაგიჩნდებოდათ დიდი სიამაყის გრძნობა, რომ ეს მარჯვე, გამძლე და საიმედო წყალქვეშაფრთიანი ხომალდი სამამულო წარმოების, ჩვენი ადამიანების ნამუსიანი მარჯვენის, გონებისა და გულის ნაღვაწი და ნამოქმედარია.

ისინი ფოთელი გემთმშენებლები არიან, ქვეყნის საკეთილდღეო საქმისათვის თავდადებული ადამიანები, რომელთა ნახელავმა მსოფლიოს წინაშე ბრწყინვალედ ჩაიბარა გამოცდა. იგი დღესაც ამშვენებს საზღვარგარეთის ნავსადგურებს და ბევრ ქვეყანას აქვს მისი შეძენის სურვილი.

მაგრამ ფოთელები ამით არ დაკმაყოფილებულან. იმთავითვე დაიწყეს ფიქრი და ზრუნვა იმაზე, რომ „კოლხიდას“ (მაშინ „კომეტა“ ერქვა გემს) მსოფლიო გემთმშენებლობის დონისთვის მიეღწია და გაესწრო კიდეც.

ამ დიდ პატრიოტულ საქმეში ფოთელებს მხარში ამოუდგა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა.

საქმე ის გახლავთ, რომ „კომეტის“ მეორე თაობის ასაგებად ისეთი ძრავები იყო საჭირო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არ მზადდებოდა, უცხოეთში მისი შეძენა კი ძალიან ძვირი ჯდებოდა. მონდომებამ, თანადგომამ და მხარდაჭერამ თავისი გაიტანა. ძრავები შემოიტანეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან (ამკვამად მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ერთ-ერთი სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების სტენდებს ამშვენებს საჭირო ძრავები, რომლებსაც ფოთელი გემთმშენებლები მომავალი წლიდან მიიღებენ)).

მშენებლებთან ერთად ფეხზე დადგა მთელი ქალაქი. ამ შემართებამ ფოთელ კომუნისტთა ხელმძღვანელს ბაკურ გულუას შესაძლებლობა მისცა გემთმშენებლების სახელით საქართველოს კომუნისტთა ცრიბუნიდან სიამაყით განეცხადებინა:

— გემი „კომეტის“ მეორე თაობის, ამიერიდან „კოლხიდის“ ასაწყობი სამუშაოები დამთავრებულია და ხომალდი ჩაშვებულია ზღვაში. წყალქვეშა ფრთებზე გაიკვლის და ცისფერ სტიქიონს გაჰკვეთს საბჭოთა კავშირის კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის!

მკუხარე ოვაციით შეხვდნენ მაშინ ამ სიტყვებს.

დღე და ღამეს ასწორებდნენ ამ პირობის შესასრულებლად გემთამშენები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსი შალინი, არგონის შემდეგებელი, პირველი „კომეტის“ გამოშვების მონაწილე სვეტლანა კიზირია, გემთმშენები რომან ეჯიბია, გემთმშენებლები ალექსანდრე დორგობედოვი, დავით ხარაზიშვილი, ერთი სიტყვით, მშენებელთა მთელი კოლექტივი. დღე და ღამე მათ გვერდით იდგნენ ქალაქის ხელმძღვანელები. თითოეული ფოთელის გული და სული იმ დღეებში გემთმშენებლებს ეკუთვნოდა.

ბოლო დღეებში გემთმშენებლებთან ჩამოვიდა ძრავების დამამზადებელი გერმანული ფირმის წარმომადგენელი, ინჟინერ-მემონტაჟე პინტეგგერ ჰელმუტი, რომელიც წესისამებრ უნდა დაწერებოდა და მონაწილეობა მიეღო გემის გაწყობა-გამართვაში.

გერმანელი სპეციალისტი, ჩვეულებრივ, ზუსტად დანიშნულ დროს იწყებდა და ამთავრებდა სამუშაო დღეს. გვიან ღამემდე სამუშაოდ რჩებოდა გემთმშენებელთა მთელი კოლექტივი.

აქედან შორს არ იყო სასტუმრო, სადაც ცხოვრობდა უცხოელი სპეციალისტი და აოოვენ ღამე ხედავდა გემის ილუმინატორებიდან მოცემცმე შუქს, აშკარად არჩევდა სახეებს, რომლებსაც დილითაც ხვდებოდა და სამუშაოს დამთავრების ჟამსაც.

— რატომ? — გაკვირვებით იკითხა ერთხელ, — სამუშაო საათი ხომ განსაზღვრულია?!

— ჩვენ ყრილობას მივეცით პირობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტთა დიდი ფორუმისათვის ფრთებზე შედგებოდა გემი და ზღვაში გავიდოდა! — უპასუხეს ერთხმად.

— რა საჭიროა ეს? — ჩვენთანაც იმართება ყრილობები, მაგრამ პირობას არავის არაფერში არ ვაძლევთ, — არ ცხრებოდა გერმანელი.

— თქვენთან სხვადასხვა პარტიაა და განსხვავებული ინტერესების განსახორციელებლად სხვადასხვა მხარეს ეწევიან ადამიანებს. ჩვენთან კი კომუნისტური პარტია მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს იცავს და ემსახურება. ეს არის ჩვენი მუშაობის სტიმული, ჩვენი ცხოვრებისეული პოზიციის განმსაზღვრელი, — ერთიანი იყო აქაც პასუხი.

ისევ გერმანული სიზუსტით მუშაობდა უცხოელი სპეციალისტი მეორე დღესაც, მესამეს, მეოთხეს... მეხუთე დღეს დანიშნულ დროს არ წასულა.. არც ერთი საათის, არც ორი საათის შემდეგ. მუშაობდა თავაუღებლივ, სხვებთან ერთად გვიან ღამემდე.

მეშვიდე დღეს გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნის დირექტორმა ზაურ არჩაიძემ გაიფრთხილა: ჩვენ ექვსი დღის საზეგანაკვეთოს ანაზღაურების საშუალება არ გვექნებაო.

— არაფერი არ მინდა, რამდენსაც საქმე მოითხოვს, მეც თქვენთან ერთად ვიქნები, — უპასუხა, და დრო რომ ამ დაეკარგა, განაგრძო მუშაობა.

ასე იმუშავა უცხოელმა სპეციალისტმა ოთხი დღე გერმანული საზუსტით, ექვსი დღე — როგორც გემთმშენებელთა თავდადებული კოლექტივის წევრმა პირობის შესასრულებლად.

— საკვირველი ხალხი ხართ,— თქვა მან ბოლოს, — გამტანი, მართალი და პირგაუტეხელი. მიზანი გაქვთ და იღწვით მისი განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობისათვის ზღვაში გავიდა გემი „კოლხიდა“, რომლის შექმნაში მთავარი და გამსაზღვრელი იყო საბჭოთა ადამიანების მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია მიზნის მიღწევის გზაზე.

ამ საერთო შრომის ფერხულში იყო ჩაბმული ბოლო დღეებში დასავლეთგერმანელი ინჟინერ-მემონტაჟე პინტეგგერ ჰელმუნტი. არა მგონია, შინ დაბრუნების შემდეგაც დავიწყებოდა მას უბრალო საბჭოთა ადამიანების შეძარფება და თავდადება, თავისი აქტიური მონაწილეობა საერთოსახალხო საქმეში.

— ძალიან კარგად შეგვიძლია და ზოგჯერ ვერ ვიყენებთ ჩვენს პოტენციურ შესაძლებლობებს ადამიანთა დასარწმუნებლად, დაწაჯერებლად. ჩვენი მწამსით, ჩვენი იდეებით ძალიან კარგად შეგვიძლია შეტევა და ზოგჯერ თავდაცვით ვიზდით ჩვენს დიდ მოქალაქეობრივ ვალს, — თქვა გემთმშენებელთა ხელმძღვანელმა ზაურ არჩაიძემ, როცა ამ შემთხვევის შესახებ ვსაუბრობდით პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში.

მართლაცდა, რაც უფრო რთული და გარანდიოზული ჩვენი იმშენებლობითი ამოცანები, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების წესის მიერ ერთმთლიანად შეკრულ-შედუღაბებული ადამიანების ნება-სურვილი უნარიანად შეუტოონ მიუღებელ შეხედულებებს, მოსაზრებებს, აქტიურად გადავიდნენ იერიშზე უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომლის მიზანია ზემოქმედება მოახდინოს და თავის მხარეზე გადაიბიროს თითო-ოროლა მერყეევი ადამიანი, თავს მოახვიოს ჩვენთვის უცხო წესი და ჩვეულება.

თინა ზარგინავა.

სოციალისტურ ქვეყნებში

● პოლონეთი

„ტრიბუნა ლუდუს“ 35 წლისთავი

ვარშავა. გაზეთ „ტრიბუნა ლუდუს“ 35 წელი შეუსრულდა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის პირველი გამაერთიანებელი ყრილობის მუშაობის დღეებში, რომელზეც შეიქმნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო არსებობის პირველი დღიდანვე არის პოლონეთში ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. გაზეთი პარტიის ერთგული თანაშემწეა მის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. 35 წლის განმავლობაში იცვლიდა გამოცემა გარეგნულ სახეს, მაგრამ უცვლელი დარჩა მისი მებრძოლი ხასიათი, აქტიური პოზიცია, შეურიგებლობა უარყოფითი მოვლენებისადმი. „ტრიბუნა ლუდუს“ ნახავთ სახელმწიფო მოღვაწეს, ბაგიდაზე, ქარხნის საამქროში მუშის ჩარხთან, მეცნიერის, ინჟინრის ხელში — „ყველგან, სადაც შრომობენ პოლონელი კომუნისტები. იგი ეხმარება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და სოციალიზმის განტკიცებისათვის, სახალხო პოლონეთის შინაური და გარეშე მტრების ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

● უნგრეთი

დავალებანი — ვადამდე

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქვანახშირის მოპოვების ერთ-ერთი უველაზე მსხვილი ცენტრის ვესპრემის ქვანახშირის აუზის მეშახტეებმა ვადამდე შეასრულეს წლის საგეგმო დავალებანი — ამოღებულია 3,5 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი. მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს, რომ წლის დამლევამდე ქვეყანას მისცენ 150 ათასი ტონა ჩეგეგმითი სათბობი.

ქვანახშირის მოპოვების გადიდება ერთ-ერთი უნგრეთში მიღებული ენერგიაშემცველთა რაციონალური გამოყენების პერსპექტიული პროგრამის მთავარი მიმართულებაა. ამ სახეობის სათბობს სულ უფრო დიდი როლი ეკისრება რესპუბლიკის ენერგობალანსში. თანამედროვე საბჭოთა სამთომოპოვებითი ტექნიკა ეხმარება უნგრელ მეშახტეებს მიიღონ ქვანახშირის მაქსიმალური როდენობა მინიმალური დანახარჯებით.

● ინდოეთი

ოფიციალურ ვიზიტად

დელი. აქ ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის ავიაციის მთავარი მარშლის დილბაგჰ სინგჰის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი — თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ს. კუტახოვი. დელის პალამის აეროპორტში მას დახვდნენ ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი ავიაციის მთავარი მარშალი დილბაგჰ სინგჰი, სხვა ინდოელი მხედართმთავრები. დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ვ. ნ. რიკოვი.

იმავე დღეს პ. ს. კუტახოვმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ეწვია ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსს.

● სენეგალი

წარშმატებელი თავდასხმა

დაკარი. სამხრეთ სენეგალის კაზამანსის ოლქის ცენტრში — ქალაქ ზიგინშორში პოლიციასთან სეპარატისტულად განწყობილი ელემენტების შეტაკების შედეგად 19 კაცი დაიღუპა და 80 დაშავდა.

რადიოთი გადაცემული სენეგალის მთავრობის ოფიციალური კომუნიკის თანახმად 18 დეკემბერს შეიარაღებულ პირთა ჯგუფი შეეცადა ზიგინშორში ხელთ ეგდო ადმინისტრაციული შენობა და საპოლიციო უბანი. თავდასხმა მოიგერიეს უშიშროების ძალებმა, რომლებიც მთლიანად აკონტროლებენ ვითარებას ქალაქში. მოხდა დაპატიმრებანი. სეპარატისტები მოითხოვენ სენეგალისგან კაზამანსის ოლქის გამოყოფას და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ამანი. ისრაელი დამპყრობლები გეგმაზომიერად „ითვისებენ“ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებს.** ადგილობრივ მცხოვრებთ ართმევენ მამაპაპეულ მიწა-წყალს და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას, წერს ამანის გაზეთი „ად-დუსტური“. ამას წინათ საოკუპაციო ხელისუფლებმა მიიღეს გადაწყვეტილება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ქალაქების ელ-ჰალილისა და რამალაჰის რაიონებში ჩამოართვან კიდევ ათასი დونუმი ნაყოფიერი მიწა, როგორც არაბული სოფლების მცხოვრებლებს განუცხადეს, მათ მიწებს გამოიყენებენ სამხედრო მიზნებით, აგრეთვე ისრაელ კოლონისტთა ახალი დასახლებების მშენებლობისათვის.

● **ბალდადი. ერაყში ამ დღეებში ფართოდ აღინიშნება უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის ეროვნული კამპანიის დაწყების მეხუთე წლისთავი.** 1978 წლის დეკემბრიდან 15-დან 45 წლამდე ასაკის 2 მილიონ 200 ათასმა კაცმა ისწავლა წერა-კითხვა. დაწყები თ ი განათლების კურსების დამთავრების შემდეგ ისინი სახალხო სკოლებში აგრძელებენ სწავლას.

● **კაირო. ისრაელის ბანკმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გასულ თვეში უცხოური ვალუტის ეროვნული რეზერვები 89 მილიონი დოლარით შემცირდა და ამჟამად 2,69 მილიარდ დოლარს შეადგენს.** გაზეთი „ჯერუზალემ პოსტი“ ხაზგასმით წერს იმის შესახებ, რომ მტკიცე ვალუტის მარაგის შემცირება ისრაელში შეიმჩნევა ზედიზედ ხუთი თვის მანძილზე და ქვეყანაში შექმნილ ყოვლისმომცველი საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისს ასახავს.

● **ტოკიო. ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობა იაპონიასთან ვაჭრობაში შეერთებული შტატების მზარდი დეფიციტის მთავარი მიზეზია.** ვაჭრგტონი ცდილობს ახლა იაპონია გაბადოს „განტევების ვაცი“ „რეგანომიკის“ ჩაფუშვისათვის. ეს აღნიშნა ავტორიტეტიან ეკონომიკურ ექსპერტებთან აქ გამართულ შეხვედრაზე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. მაცუნაგამ. ტოკიოს აზრით, განაცხადა მან, უკანასკნელ დროს შეერთებული შტატები ქრონიკულად ჩამორჩებიან იაპონიას მრეწველობის მოდერნიზაციაში, რასაც მოჰყვება ამერიკის საქონლის კონკურენტუნარიანობის საერთო შემცირება.

● ᲐᲨᲨ

„წინასწარმეტყველი“ თეთრ სახლში

ნიუ-იორკი. პრეზიდენტ მა რეიგანმა აირჩია ორიგინალური მეთოდი შეიარელოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში მზარდი შეშფოთება მისი პოლიტიკის გამო, რომელსაც მსოფლიო ბირთვული კატასტროფის ზღვართან მიჰყავს. მან ურჩია „იმოძმედონ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევენ“ ადამიანთა იმ თაობას, რომელიც გახდება... ქვეყნიერების აღსასრულის მოწმე.

ბიბლიური ქვეყნების აღსასრული, რომელიც შეეფერება უფრო რელიგიურ „ანატიკოსს, ვიდრე პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა იწონასწარეტყველა ეროვნულ „პიპლისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. შეკითხვაზე, „ნამდვილად გჯერათ, რომ ჩვენ თაობას შეუძლია ნახოს არმაგედონი“, რეიგანმა თქვა: „ეს საჯაროდ არასოდეს არ მითქვამს: მაგრამ ამის შესახებ მისაუბრია ჩემიანებთან, რამდენადაც ღვთისმეტყველებმა უკვე დიდი ხანია მითხრეს, რომ არასდროს არ ახდენილა ამდენი წინასწარმეტყველებანი. წინათ ყოფილა ჟამი, როცა ვფიქრობდით, რომ ქვეყნიერების აღსასრული ახლოა, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა“.

„ბიბლიის კითხვის არსი ის არის, — თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, — შეავიგნოთ, რომ ეს სამყარო და ჩვენი ცხოვრება სინამდვილეში არ გვეკუთვნის“, ამგვარად, რეიგანი ფიქრობს, რომ მშვიდობისა და კაცობრიობის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ზრუნვას აზრი არა აქვს.

რეიგანი, რომელიც ირაფრად აგდებს კაცობრიობის ცივილიზაციის ბედს, თავისი საკუთარი სიცოცხლისა და პირადი უშიშროებისათვის ზრუნვას არ იკლებს, თანაც ეს ზრუნვა სულ უფრო მანიაკური ხასიათისა ხდება. ამას მოწმობს ბეტონის ღობურები თეთრი სახლის წინ და პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორიაზე განლაგებული „მიწა-ჰაერი“ კლასის რაკეტები. თავად რეიგანი გამუდმებით ატარებს ტყვიაგამტარ ჟილეტს, თუმცა, როგორც მან ინტერვიუში აღიარა, ხდება ხოლმე, რომ როცა ამ ძნელადმოსარგებ ჟილეტს ვიცვამ, ვიგინებიო.

ჟურნალ „პიპლის“ ფურცლებზე რეიგანის „წინასწარმეტყველება“ კომენტარს არ საჭიროებს. იგი მოწმობს ამერიკელთა სულ უფრო მზარდი შიშის საფუძვლიანობას, რაც დაადასტურა საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვამ. ამ შიშის მიზეზი კი ის არის, რომ ახლა თეთრ სახლში იმყოფება ადამიანი, რომლისგანაც ყველაფერი მოსალოდნელია.

კრესპ ადასტურებს

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲙᲚᲐ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲑᲘᲨᲝᲞᲘ

დელი. ყოველკვირეულმა „ნიუ-უეიმა“ გამოაქვეყნა ფაქტები, რომლებიც აშკარად მოწმობენ, რომ გრენადის პრემიერ-მინისტრის მორის ბიშოპის მკვლელობა თეორი სახლის ბრძანებით ჩაიდინა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ.

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ, აღნიშნავს „ნიუ-უეივი“, აქტიური ძირგამომთხრელი საქმიანობა გრენადაში ჯაჭოს ჯერ კიდევ ამერიკის მოიერიშე ქვეგანაყოფების ამ ქვეყანაში შეჭრამდე ერთი წლით ადრე. იმოწმებს რა თვითმხილველ გრენადელებს, რომლებმაც კუნძული მისი ოკუპაციის შემდეგ დატოვეს, ყოველკვირეული წერს, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოახერხა დაექირავებინა პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის უფროსი, ვინმე სეფას სენტ ჰოლი და ერთ-ერთი მისი ხელქვეითი, რომელმაც ვაშინგტონიდან მიღებული ბრძანებისამებრ, მოკლა ბიშოპი.

დანაშაულის კვალის ასაბნევად აღნიშნავს „ნიუ-უეივი“, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოსპო მკვლელი აგენტი. მის ოთახში ნახეს, კერძოდ, სპეციალური მომაკვდინებელი პრეპარატები, რომლის მეშვეობითაც ამერიკელი „დაშნისა და მოსასხამის“ რაინდები აპირებდნენ მოეწამლათ გრენადის პრემიერ-მინისტრი. ასეთ ცდას მიმართეს მ. ბიშოპის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე.

გრენადაში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა სიცოცხლისათვის „საფრთხის“ შესახებ პრეზიდენტ რეიგანის ყველა განცხადება, ხაზგასმით აღნიშნავს „ნიუ-უეივი“, შეთითხნეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფალსიფიკატორებმა თეორი სახლის განკარგულებით. ასეთი გზით რეიგანი ცდილობდა „გაემართლებინა“ თავისი ბარბაროსული ნაბიჯი ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ახლა შეერთებული შტატები არ ფარავს, რომ განზრახული აქვს გადააქციოს გრენადა თავის სამხედრო ბაზად. პარალელურად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ქმნის იქ საჯაშუშო ცენტრს კარიბის აუზის ქვეყნების წინააღმდეგ დივერსიული აქციების განხორციელებისათვის. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გრენადის ფილიალი, ხაზგასმით აღნიშნავს ყოველკვირეული, შეთანხმებულად იმოქმედებს ჰონდურასის ტერიტორიაზე უკვე არსებულ ამერიკულ ძირგამომთხრელ ცენტრთან, რომელიც შექმნეს ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა და იყენებენ ცენტრალური ამერიკის ხალხების წინააღმდეგ გამოიცხადებელი ომის წარმოებისათვის.

პარიზი. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უშუალოდ ურევია ხელი გრენადის წინააღმდეგ თეთრი სახლის შეიარაღებული აგრესიის მომზადებაში. ეს პარიზის გაზეთ „ბატენის“ კორესპონდენტს უთხრა სპეციალურად „ამ მისიისათვის“ დაქირავებულმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთმა აგენტმა.

გრენადიდან 18 კილომეტრის მოშორებით მდებარე პატარა კუნძულზე მცხოვრებმა ამერიკელმა ბილ კასტენმა განაცხადა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობაში იგი ჩაბა პირადად შეერთებული შტატების ელჩმა ბარბადოსში.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოთხ თანამშრომელთან ერთად იგი ღამით კატარღით მიუახლოვდა კუნძულის ნაპირებს, სადაც დასახული იყო დესანტის გადასხმა, აგრეთვე რუკებზე აღნიშნული იყო იმ დიდნაწილი ადამიანი ობიექტების განლაგება, რომლებიც პირველ რიგში ხელთ უნდა ეგდოთ და მოეპოთ. ჰასტენის თქმით, „ყველა ეს ობიექტი დაბომბეს იერიშის დროს“.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების ცნობების საფუძველზე პენტაგონმა შეცვალა კუნძულზე შეჭრის მანამდე დასახული გეგმები და შეჭრის პირველ ეტაპზე საზღვაო დესანტს საჰაერო დესანტი არჩია.

● თურქეთი

უმუშევრობა იზრდება

სტამბოლი. თურქეთის ყოველი მეხუთე შრომისუნარიანი მოქალაქე ამჟამად უმუშევართა არმიის რიგებში იმყოფება. დაგეგმვის სახელმწიფო ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყანაში ირიცხება 3,5 მილიონი მთლიანად უმუშევარი. ყოველთვიურად საშუალოდ 50 ათასი ადამიანი, რომლებმაც სამუშაო დაკარგა, ავსებს რიგებს შრომითი მოწყობის ბიუროებში. როგორც გაზეთი „მილიეთი“ წერს, მათი უმრავლესობა 20-24 წლამდე ასაკის ახალგაზრდაა.

შრომა და კაპიტალი

პატარა ქალაქმა მონლიუსონმა მშრომელი საფრანგეთის უურადღება მიიპყრო. საბურავების საკმაოდ დიდ საწარმოს, რომელიც 1921 წლიდან არსებობს, დახურეა მოელის, ხოლო მის 2.800 მუშას — დაუხოვნა.

სადღესასწაულო მონლიუსონში, სადაც 50 ათასი მეზობელია, 5 ათასი უმუშევარია. საწარმოს დახურვა, როგორც „ლუმანიტე“ წერს, ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა მთელი ქალაქისათვის და თითოეული ოჯახისათვის.

სურათზე: 20 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა საწარმოს დახურვის წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო მარშში.

ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ინგლისში სულ უფრო ხშირად გამოდის წიგნები, ხოლო ეკრანებზე — ფილმები, რომელსაც ამერიკელები ისე უყვეთვენ, როგორც რესტორანში ცხვრის კატლეტს: ვთქვათ, ოდნავ ზედმეტად დახარაკულს, უმარილოს და რაც შეიძლება წოწაკიანს. ამ სერიიდან ბოლოდროინდელი ოხუნჯებია „ჯეფრი არჩერის. ოპუსი სათაურით „მეექვსე დღეს“, რომელიც გაგრძელებებით გაზეთ „დეილი ექსპრესში“ იბეჭდებოდა, და რატომღაც მკითხველს წარუდგინეს როგორც რომანი.

...1988 წლის ნოემბერი, საბჭოთა კავშირმა დაიპყრო ფინეთი. იუგოსლავია და თურქეთი, ემზადება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესაჭრელად. ნატოს ქვეყნების დედაქალაქებს შორის შეშფოთებული ხმა ტელეფონო საუბრებია. ამერიკელები მზად არიან დაიცვან ევროპაში თავიანთ მოკავშირეთა ტერიტორია ბოლო ბირთვულ ბომბამდე. ოღონდ იმ პირობით, რომ ასევე მოიქცევა ინგლისიც, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია ამერიკული ბირთვული რაკეტები.

როგორ მოიქცევა იგი? აქ არჩერი დრამატულ სიუჟეტს ავითარებს. მსოფლიოს ბედის გადასაწყვეტად დაუნინგ სტრიტზე სასწრაფოდ შეკრებილი ბრიტანეთის კაბინეტის კენჭისყრის სცენა მოეცემულია ორ ვარიანტად, რომთაბიც „დეილი ექსპრესის“ მომიჯნავე გვერდებზეა დაბეჭდილი.

ვარიანტი პირველი: კაბინეტი გადაწყვეტს შეურიგდეს ბედს და არ ჩაებას შეტაკებაში. ამის პასუხად ამერიკელები თავიანთ რაკეტებთან ერთად ოკეანისგადმა ბრუნდებიან. საბჭოთა ტანკები უმალ ჩრდილოეთ გერმანიის დაბლობზე იჭრებიან.

ვარიანტი მეორე: ბრიტანეთის კაბინეტი გადაწყვეტს ომში ჩაბმას! რუსები უკან იხევენ და ამერიკული რაკეტების დახმარებით კონტინენტზე მშვიდობა ყარდება.

პარანოიური ბოდვაა, იტყვის მკითხველი. სამწუხაროდ, ეს ბოდვა მეტად ფუნქციურია და ზუსტად დროს შესაბამისად არის მიწოდებული. ამ სათავგადასავლო მოთხრობას „მეექვსე დღეს“ ფლიდ სტრიტზე ბეჭდავდნენ ზუსტად ერთი დღით ადრე, ვიდრე ინგლისის მშვიდობის მომხრეთა გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართებოდა.

მაგრამ მალე საღი გონების საწინააღმდეგოდ გრძელმეტყველმონის ბაზაში თვითმფრინავებით პირველი „ტომაგავეები“ ჩაიტანეს. ამდენად ვანა საკითხავია, თუ ვის დასჯირდა ასეთი ლიტერატურული „კატლეტი“ და ვის მიერ იყო შეკვეთილი ეს ფსევდოროომანი — პასკვილი.

იბადება კანონზომიერი კითხვა: ვინ კითხულობს ამგვარ მაკულატურას? სამწუხაროდ, ათასობით ადამიანი. მდარე, გაყალბებული სუბლიტერატურისადმი გემოვნებას ათწლეულების მანძილზე უნერგავენ ინგლისურენოვან აუდიტორიას გამომცემლები, რეკლამა, მათი კომერციული ინტერესები. დაწყებული „მიქსებით, საბავშვო სერიალებით და ჰარლედ რობინსის, ჯეფრი არჩერის და. მათ მსგავსთა წიგნებით დამთავრებული. სხვათა შორის, „მეექვსე დღე“ არჩერის პირველი ცდა არ გახლავთ. მის კალამს (თუმცა ამბობენ, რომ იგი იმდენად უწიგნურად წერს, რომ მისი გადაწერა ორ-სამ კაცს უხდება) ეკუთვნის, კერძოდ, სათავგადასავლო მოთხრობა „ვუთხრა კი პრეზიდენტს?“. მასში ასახულია ედვარდ კენედის მოკვლის მიზნით შეთქმულების ამბავი, რომელიც არჩერის სიუჟეტის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა. როცა წიგნი ვაშინგტონში გამოვიდა, სენატორები იმით ერთობოდნენ, რომ ნაძლევს დებდნენ, თუ ვინ უფრო მეტ ფაქტობრივ შეცდომას აღმოაჩენდა. მინიმალური რიცხვი იყო 182.

ამგვარი ტალეტიცია სულაც არ არის წიგნის ბაზრის მონოპოლია. იგი კინო და ტელეეკრანების ხშირი სტუმარია. ინგლისელები, ყველა დასავლეთევროპელთან შედარებით, ყველაზე მეტ ხანს უყურებენ ტელევიზორს — საშუალოდ დღეში ოთხ საათს. ამ დროის უდიდესი ნაწილი ეთმობა ამერიკელი ან ადგილობრივი მილიონერების მშფოთვარე და დახლართული ცხოვრების მრავალსერიიან ამბებს, მაგრამ ეკრანზე ჩნდება ზოლმე აშკარა პოლიტიკური პროპაგანდა. ორი თვის მანძილზე საღამოობით საუკეთესო სატელევიზიო დროს ინგლისელები თვალს ადევნებდნენ ინგლისელი ჯაშუსისა და დივერსანტის სიდნეი რეილის თავგადასავალს. იგი ცნობილია იმით, რომ ბრიუს ლოკარტთან ერთად მოაწყო შეთქმულება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

1918 წელს წარუმატებელი ანტისაბჭოთა შეთქმულების შედეგ რეილი ლონდონში დაბრუნდა და შეადგინა მემორანდუმი, რომელიც დღემდე ინახება ინგლისის არქივებში, მასში, კერძოდ, ნათქვამია: „მეტად საჭიროა ყოველმხრივი პროპაგანდა ბოლშევიზმის, როგორც უდიდესი საფრთხის, წინააღმდეგ, რომელიც ცივილიზებულ მსოფლიოს ეექნება“.

სსრ კავშირში ერთ-ერთი თავისი არალეგალური შეღწევის დროს რეილი დააპატიმრეს და 1925 წელს უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით დახვრიტეს.

იმავე ტელეეკრანზე ერთი საათის შემდეგ უჩვენებდნენ, თუ როგორ შეეცხო ასიათასობით ინგლისელს ჰაიდ-პარკი და მოითხოვდნენ არ დაეშვათ ინგლისის ბაზებში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგება.

და კვლავ აშკარა ხდება, თუ ვის და რისთვის დასჯირდა რეილის აჩრდილის ამოტივტივება დღევანდელ ტელეეკრანზე. ისევე, როგორც არჩერის რომანი, ეს უსასრულო სერიალი იმავე მიზნებს ემსახურება, რომლებზეც ლაპარაკობდა რეალური რეილი, — ანტიკომუნისტურ, ანტისაბჭოურ პროპაგანდას. (აას).

ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲙᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ

სოხუმში გაიხსნა ამიერკავკასიის მეცნიერების ისტორიოსთა მეექვსე ტრადიციული სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციაში საქართველოს წარმომადგენლების გარდა მონაწილეობენ და მოხსენებებს კითხულობენ ქვეყნის სამოცი ქალაქის მეცნიერები.

კონფერენცია გახსნა აფხაზეთის გორკის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ანჩაბაძემ. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სტუმრებს მიესალმა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი რ. ბუტაბა.

— წარსულის ცოდნის, მისი დაფვრილებით და გულდასმით გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია აწმყოს და მომავალი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსმა ვ. პარაძემ. — ამავე დროს, თუ თანამედროვეობას ყურადღებით არ შევისწავლით, ვერც მომავალს გავითვალისწინებთ. ერთიანნ უწყვეტი ჯაჭვით დაუკავშირონ ისტორიული სინამდვილის შესაბამისად მეცნიერების წარსული, აწმყო და მომავალი, გაიაზრონ მისი განვითარება, როგორც მიზანდასახული პროცესი, რომელიც ხორციელდება მკაცრ კანონზომიერებათა საფუძველზე — ასეთია კონფერენციის მონაწილეთა წინაშე დასახული მიზანი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘ

გვატყობინებენ ჩვენი საკ. კორესპონდენტები

სარწყავი არხები მთაში

რაიონის მაღალმთიან სოფელ ზამლეთში მრავლადაა მოურწყავი და გამოშშრალი ფართობები, რომლებზეც უზვი მოსავლის მოწევა შეიძლება. მოგეხსენებათ, მთაში ყოველი გოჯი მიწა ოქროდ ფასობს, და აი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად უკვე რამდენიმე სოფელში გაჰყოფთ სარწყავი არხები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ზამლეთის კოლმეურნეობაში. სადაც დაახლოებით 500 ჰექტარი ფართობი უნდა გასარწყავდეს, რასაც ორი მილიონი მანეთი მოხმარდება. კოლხეთმშენის ტრესტის ლანჩხუთის მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ წლეულს უკვე აითვისა ნახევარი მილიონი მანეთი, მთლიანად არხის მშენებლობა მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს დამთავრდება.

სოფელს — ანკარა წყარო

ფანიერის სასოფლო საბჭოს სოფელ ბრილის მცხოვრებთ აქამდე არ ჰქონდათ მუდმივი სასმელი წყალი. დადგებოდა თუ არა გვალვები, სოფლის პატარა წყაროებიც შრებოდა. კოლმეურნეობის გამგეობამ და მოსახლეობამ გადაწყვიტეს ბოლოს და ბოლოს მოეგვარებინათ ეს პრობლემა. ეროსსულოვნებას შედეგიც მოჰყვა — იშოვეს სათანადო მასალები და ახლა ქარსაქროლას მთიდან რვა კილომეტრის მანძილზე გამოჰყავთ მთის ანკარა წყარო.

ახალმშენებლობანი

რაიონის რომელ სოფელშიც უნდა შეხვიდეთ, ყველგან ხარაჩოებია აღმართული, სოფლმშენის სამინისტროს მეთხუთმეტე ტრესტი სოფლის საეციალისტებს თორმეტბინიან საცხოვრებელ სახლს უშენებს. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლიც. გაისადკი ახალსახლობას იზეიმებენ სატყეო მეურნეობის ლაბორატორიის მუშაკები. შუბნის კოლმეურნეობის ცენტრი დამშვენა ახალმა კლუბ-კინტორამ, საფუძველი ჩაეყარა დღვანის საშუალო სკოლის შენობას, რომელიც 300 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული.

გზები და ხიდები

გზას მთის სოფლებისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც არის, რომ მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სოფელ ხაბელაშვილებიდან თავზარას მთაზე გაყვანილია 9 კილომეტრი სიგრძის გზა, რომლითაც სოფელი სითბებს, მთასა და იალაღებს დაუკავშირდა. სოფელი ინწკირვეთი რაიონში ყველაზე უშორესი და უმოღლესი სოფელია. აქაურები ყოველი წყალდიდობის დროს მოწყვეტილი იყვნენ გარე სამყაროს. და აი, ასრულდა მათი დიდი ხნის ოცნება — საქართველოს საავტომობილო გზების სამმართველომ ნაღვარევისწყალზე კაპიტალური ხიდი ააგო.

პირუტყვს — თბილი ბინები

ზამთარი მთაში ხანგრძლივიც არის და მკაცრიც. წლის ამ დროს არც ადამიანს ულხინს და არც პირუტყვს. შუახევის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ ბოლო დროს საექსპლოატაციოდ გადასცა ოლადაურისა და ზამლეთის კოლმეურნეობათა კაპიტალური ფერმები. მალე დამთავრდება 200 სული პირუტყვისთვის განკუთვნილი კაპიტალური ფერმის მშენებლობა სოფელ სამოლეთშიც.

შეხვედრები მესაზღვრეებთან

შუახეველ მშრომელებს გულითადი ურთიერთობა აქვთ მესაზღვრეებთან. ახლახან მათ შეხვდნენ შუბნელი, ოლადაურელი და დღვანელი მშრომელები. მესაზღვრეთათვის კონცერტები გამართეს თვითმოქმედმა კოლექტივებმა და სამახსოვრო სუვენირებიც გადასცეს. ამის შემდეგ შუახევის რაიონს ეწვია ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის კონცერტმა შუახეველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მ. გორგილაძე.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

მუსიკალური ჩანახატი.

ლ. გუსოვის ფოტო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

თბილისელი ვ. ოსაძე სასწავლებლიდან გაამწესეს სამუშაოდ. დაწესებულების ხელმძღვანელი სამუშაოზე მიღებაზე უარს ეუბნება იმის გამო, რომ ორსულად არის. სურს გაიგოს, სწორია თუ არა ხელმძღვანელის ასეთი მოქმედება.

დაწესებულების ხელმძღვანელის ასეთი მოქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია. საბჭოთა სახელმწიფო და კანონი საგანგებოდ ზრუნავს და უურადღებას იჩენს ორსული და ბავშვიანი დედებისადმი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145 მუხლში აღნიშნულია: „უარის თქმა ქალის სამუშაოდ მიღებაზე ან მისი სამუშაოდან დათხოვნა იმ მოტივით, რომ იგი ორსულადაა ან მეძუძური დედაა — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით“, თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების აღსაკვეთად თქვენ უნდა მიმართოთ პროკურატურის ორგანოებს.

ქუთაისელ ე. გუბელაძეს მყავს 1983 წელს ივლისში დაბადებული ტყუპები. აინტერესებს, სარგებლობს თუ არა ბინის ურიგოდ მიღების უფლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ საბინაო კანონთა კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1983 წლის პირველი სექტემბრიდან. აღნიშნული კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრულია იმ პირთა სია, რომლებსაც პირველ რიგში ეძლევათ საცხოვრებელი სადგომი. ამ მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე იმ ოჯახებს, რომლებსაც ტყუპი შვილები გაუჩნდათ 1983 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, ბინას მიიღებენ პირველ რიგში, და არა ურიგოდ. ურიგოდ, ესე იგი ყოველგვარი რიგის გარეშე ბინები მიეცემათ, იმ კატეგორიის პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამავე კოდექსის 47 მუხლში.

ცაგერის რაიონში მცხოვრებ ვ. ჩარკვიანს სამუშაოზე გადაცდომისათვის ადმინისტრაციამ დისციპლინური სასჯელი დაადო. ვადაიყვანეს ნაკლებხელფასიან სამუშაოზე, სადაც 5 თვეზე მეტი იმუშავა. გვეკითხება, რამდენად სწორია ადმინისტრაციის მოქმედება.

ადმინისტრაციას უფლება აქვს გადაცდომისათვის მუშაკის მიმართ გამოიყენოს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სახის დისციპლინური სასჯელი. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია ნაკლებ ხელფასიან სამუშაოზე ან თანამდებობაზე ჩამოქვეითება სამ თვემდე ვადით. ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს ნაკლებხელფასიან სამუშაოზე ან თანამდებობაზე ჩამოქვეითების ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციაა ვალდებულია მუშაკი დაუბრუნოს მის ძირითად თანამდებობაზე.

სამ თვეზე მეტი ხნით ნაკლებხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან თანამდებობაზე ჩამოყენება კანონსაწინააღმდეგია. თუ ადმინისტრაციამ ბრძანებით განსაზღვრული ვადის შემდეგ მუშაკი არ დაუბრუნა მის თანამდებობაზე, მუშაკს უფლება აქვს მოითხოვოს კანონით დადგენილი ზარალის ანაზღაურება.

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში მცხოვრები ა. შავაძის შვილი 1981 წლის 18 აპრილს დაიპატიჟრეს, ხოლო 1982 წლის 25 თებერვალს გაიმართლეს. გვწერს, იკუთვნის თუ არა მოლიანი განაცდური ხელფასი.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 58 მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 18 მაისს გამოსცა ბრძანებულება „იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოქალაქეს უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“. ამ ბრძანებულების მე-2 მუხლის საფუძველზე ზარალი მთლიანად აუნაზღაურდებათ იმ მოქალქეებს, რომელთა მიმართ უკანონო მოქმედება ჩადენილი იყო 1981 წლის პირველი ივნისის შემდეგ. კანონის ეს ნორმა არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უკანონოდ დაისაჯნენ 1981 წლის პირველ ივნისამდე. შავაძის შვილს ზარალი აუნაზღაურდება სამი თვის ხელფასის ოდენობით, რადგანაც მის მიმართ უკანონო მოქმედება მოხდა ახალი კანონის ძალაში შესვლამდე.

ობოლეთში მცხოვრები ი. ყველაშვილი გვეკითხება: ოთხსულიანი ოჯახით ცხოვრობს 24 კვადრატულ მეტრ ოთახში, ხასლმმართველობა აძლევს ცნობას, რომ სადგომი, სადაც იგი ცხოვრობს 774 მეტრია და 78 სული ცხოვრობს. აღნიშნულის გამო ბინის მიღების აღრიცხვაზე არ აყენებენ.

მოქალაქის ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის დროს მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფართობის ბინა უკავია მის ოჯახს. ბინის მიღების დროს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ფართობს შეიცავს და რამდენ სულიანი ოჯახი ცხოვრობს იმ სახლში, სადაც მას ერთი ოთახი უკავია. აღმასკომის ორგანოების მეშვეობით უნდა მოითხოვოთ სწორი ცნობის გაცემა. სახლმმართველობის მიერ გაცემული ცნობის სისწორე ხელახლა უნდა შეამოწმოს თქვენი სამუშაო ადგილის პროფკავშირის სამინაო საყოფაცხოვრებო კომისიამ. ეს უკანასკნელი მოვალეა პროფკავშირის ადგილკომს წარუდგინოს სწორი ცნობა, თუ რა ფართობი უკავია თქვენს ოჯახს, რის შედეგადაც გადაწყდება ბინის მიღების აღრიცხვაზე თქვენი აყვანის საკითხი.

გ. იოსავა,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ

ჟურნალი აქვეყნებს საინფორმაციო ცნობას საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შესახებ. აქვეა დაბეჭდილი მასალა — ქვეყნის მედიკოსებთან თანამეგობრობით.

ანწლაგი „თბილისის 39-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის შესახებ“ თქვენ გაეცნობით წერილებს: გ. აბესაძის — რესპუბლიკის დედაქალაქს — სანიმუშო სამედიცინო მომსახურება; ი. ჭურჩიშვილის, ჯ. ნიკოლაიშვილის, თ. გეორგაძისა და ვ. იაშვილის — საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი; ფ. ჩიქოვანის — საწარმოო კოლექტივს — მაღალი დონის სამედიცინო უზრუნველყოფა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „კრიტიკული გვერდი“; „თეორიული და კლინიკური მედიცინა“; „პრაქტიკოსი ექიმის დასახმარებლად“; „შემოხვევები პრაქტიკიდან“; „მოწოდებულია პრაქტიკაში დასანერგად“; „სოციალური ჰიგიენა და ჯანდაცვის ორგანიზაცია“; „დეპონირებული სტატიების რეფერატები“; „წერილები, კორესპონდენციები“; „ჩვენი კალენდარი“; „რეცენზიები“; „ქრონიკა და ინფორმაციები“; აქვე დაბეჭდილია ჟურნალში 1983 წელს გამოქვეყნებული მასალების სამეიელი.

ᲧᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

მეძღვნება 90 წლის მეცნიერს

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ალექსი თევდორეს ძე ლოსევი 70 წლეზე მეტია, რაც დაუღლელად ემსახურება ანტიკური კულტურისა და, საზოგადოდ, მთელი კულტურის ისტორიის კვლევის საქმეს. დიდი მეცნიერის კვლევის არეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული კულტურის საკითხებს — იქნება ეს ამირან-პრომეთეს, პეტრე იბერის, ქართული რენესანსისა თუ ქართული ენის პრობლემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა მეცნიერისადმი მიძღვნილი შრომების კრებული, რომლის პირველი ეგზემპლარი 90 წლის ალექსი თევდორეს ძე ლოსევს ასეთი სტამბური წარწერით გადასცეს:

„ძვირფასო ალექსი თევდორეს ძე!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის თანამშრომლები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მივიღეთ ამ წიგნის შექმნაში, მთელი კოლექტივის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, შესანიშნავ რუს მეცნიერსა და ქართველი ხალხის გულწრფელ მეგობარს, თქვენს სახელოვან იუბილეს და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს — რაც შეიძლება უსურვო ძვირფასსა და ახლობელ ადამიანს.

თქვენი დიდი მეცნიერული და კაცური ტალანტისათვის მადლიერების გრძნობით გიგზავნით ამ წიგნის პირველ ეგზემპლარს“.

ქართველმა მეცნიერებმა გულითადად მიულოცეს ა. ლოსევს იუბილე და მთავრობის დიდი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი. („კომ.“ კორ.).

მხატვრის ალბომი

გამოცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მხატვარ გურამ ქუთათელაძის ნამუშევართა ალბომი. ფერადი რეპროდუქციები გემოვნებით არის შერჩეული და დაბეჭდილი. ტექსტის ავტორი ი. იოსელიანი მოკლედ, საინტერესოდ მოგვითხრობს მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს ალბომი კარგი საჩუქარია სახვითი ხელოვნების მოყვარულთათვის.

ს. ნაციაშვილი.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲙᲐᲡᲣᲮᲡ?

კვლავ საშოვარზე

რესპუბლიკის ფაგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანისადმი მკაცრი კონტროლია დაწესებული. ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილია, თუ როგორ ცდილობდნენ 25 ნოემბერს ავტომინსპექციის მლეთის საგუშაგოსთან გაძრომას ხუთი სატვირთო ავტომანქანა ან მძღოლები, რათა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანათ ხილი. კანონის დამრღვევთა შორის იყო სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სატვირთო ავტომობილი. ეს შემთხვევა განიხილა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინაღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურმა სამუშაო ქვეჯგუფმა და მკაცრად იმსჯელა ამ საკითხზე. მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს ავტომეურნეობათა და უწყებათა ხელმძღვანელებმა.

13 დეკემბერს ახალქალაქის რაიონში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციისა და ახალციხის ავტოინსპექციის თანამშრომლებმა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკანონო გატანის მცდელობისას დააკავეს ორი სატვირთო ავტომობილი.

ახალქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სატვირთო ავტომობილი (სახელმწიფო ნომერი 49-16 გგდ) 5470 კილოგრამი ვაშლით დაეტვირთა მძღოლს სოკრატ ოჩანესიანს. ეს ავტომობილი ბრძანებით გაპიროფვნებულია მის ძმაზე ვაგრშაკ ოჩანესიანზე. ახალქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელებმა (უფროსი — შ. დალოგლანიანი) 12 დეკემბერს სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ გამოწერეს საგზური ახალქალაქ-თბილისის მარშრუტით, იმავე დღესვე წინასწარ გასცეს 13 დეკემბრის რიცხვით საგზური ახალქალაქ-ლენინაკანის მიმართულებით. სატვირთო ავტომანქანა გორის რაიონში დატვირთეს ვაშლით, მაგრამ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლისას დააკავეს. საინტერესოა, რას იტყვის ამ ფაქტზე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხელმძღვანელობა?

ამავე დღეს დააკავეს ახალქალაქის ვაჭრობის (უფროსი — კ. მანუჩაროვი) „ზილ-130“ მარკის ავტომანქანა, რომელიც 4416 კილოგრამი ვაშლით და 3269 კილოგრამი მსხლით იყო დატვირთული. მძღოლმა სანასარ მანუკიანმა ავტოინსპექციის მუშაკებს წარუდგინა 11 დეკემბერს გაცემული საგზური და მივლინების მოწმობა. ეს საბუთები ყალბია და თვით მძღოლის მიერ არის გამოწერილი. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ავტომობილი რეისში წასულა 7 დეკემბერს და გარაჟში იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო... აღნიშნული ავტომანქანა ექვს დღეს არავის არ მოუკითხავს, სანამ იგი ავტოინსპექციის მუშაკებმა არ დაიკავეს.

გამოძიება, ცხადია, დაადგენს, თუ როგორ მოხდა ს. მანუკიანის ხელში ბეჭდიანი მივლინების მოწმობა და საგზური.

გ. ლელაძე.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

პრეტენდენტთა მატჩების ექო

უცხოეთის პრესა დიდ შეფასებას აძლევს პრეტენდენტთა მატჩებზე საბჭოთა მოჭადრაკეების წარმატებას. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“, რომელიც დაწვრილებით აშუქებდა ლონდონში მიმდინარე ამ მატჩების მიმდინარეობას, აღნიშნა, რომ „20 წლის კასპაროვმა მატჩი წარმართა მშვიდად და დამჯერებლად.“ გაზეთი, ეხებოდა რა სმისლოვის რიბლისთან გამარჯვებას, შენიშნავდა, რომ „საბჭოთა მოჭადრაკემ შეჯიბრება წარმართა ჯაბუკური ენერგიით, ითამაშა დინამიკურად და ერთობ ძლიერად. ორი პარტია სმისლოვმა მოიგო მეფის პოზიციაზე და გამანადგურებელი იერიშის შედეგად“.

ბელგრადის გაზეთი „ვეჩერნეა ნოვოსტი“ წერს, რომ „კასპაროვის კორჩნოიზე გამარჯვება გაკვირვებას არ იწვევს, ვინაიდან ამას მატჩის დაწყებამდე წინასწარმეტყველებდნენ:“ გაზეთი „პოლიტიკა“ კი აღნიშნავს, რომ „კასპაროვმა და სმისლოვმა დამჯერებლად გაიკაფეს გზა ფინალისაკენ. ორივე მოჭადრაკემ გაიმარჯვა საინტერესო ბრძოლის ვითარებაში“.

არგენტინის პრესამაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პრეტენდენტთა მატჩების მსვლელობას. გაზეთი „ტიემპო არგენტინო“ აღნიშნავს: „20 წლის კასპაროვმა ეფექტური გამარჯვება მოიპოვა გამოცდილ მეტოქესთან. კასპაროვი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა“. „ამ მატჩში კასპაროვის გამარჯვება დამჯერებლზე მეტი“ წერს გაზეთი „ნასიონი“. „მან მაღალი ტექნიკა და შესანიშნავი თავდაჯერებლობა გამოამჟღავნა“. „ეს ნამდვილი გმირობაა“, — ასე დაასათაურა თავისი შეფასებული სტატია გაზეთ „ლა-ნაციონში“ საერთაშორისო დიდოსტატმა მ. ნაიდორფმა.

სატურნირო ორბიტა

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მოსკოვში გრძელდება ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. მესამე ტურის მატჩების შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკია-კანადა — 4:2, შვეიცარია-სსრ კავშირი —1:4. სამი ტურის შემდეგ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა კოლექტივებმა ქულათა მაქსიმუმი—6-6 დაგროვეს. შვედებს 2 ქულა აქვთ.

ᲑᲐᲓᲐᲠᲐᲯᲘ. ტალინში გათამაშდა მეთორმეტე ტური და მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. თბილისელმა ე. უბილავამ მეათე ტურის გადადებული პარტია ლერნერთან ყაიმით დაასრულა. მან მეთორმეტე ტურში პეტრუშინთან პარტია გადადო და მეორე დღეს იგი მოგებით დაამთავრა. თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: დორფმანი — 8 ქულა, ფსახისი 7,5, მალანიუკი, ხარიტონოვი — 7-7, უბილავა, გავრიკოვი, გულკო, კორბუზოვი, ლერნერი —6,5-6,5 ქულა.

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ. ტაშკენტში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება. გაგაცნობთ პრიზობრთა ვინაობას: **რაპირა (ვაჟები).** 1. ა. შვეცოვი (ლენინგრადი), 2. რ. ისკაკოვი (ყირგიზეთი), 3. ბ. კორეცკი (აზერბაიჯანი); **რაპირა (ქალები).** 1. ო. ვოშჩაკინა (რსფსრ), 2. ლ. ცაგარაევა (რსფსრ), 3. მ. სობოლევა (მოსკოვი); **ხმალი.** 1. ვ. კროვოპუსკოვი (მოსკოვი), 2. ს. კორიაკინი (რსფსრ), 3. ხ. ისმაილოვი (რსფსრ); **დაშნა.** 1. მ. ტიმკო (უკრაინა), 2. ვ. კოვში (ბელორუსია), 3. ს. კრავჩუკი (უკრაინა).

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲚᲛᲔᲠᲗᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔ ᲛᲝᲒᲐᲪᲘᲐ

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით 20 დეკემბრის ღამეს რიო-დე-ჟანეიროში ორმა უცნობმა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის შტაბ-ბინიდან გაიტაცა ეიფელ რიმეს თასად წოდებული ბაჯაღლო ოქროთი ნაკეთები ოთხკილოგრამიანი „ოქროს ქალლმერთი“, რომელიც ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მიერ 1970 წელს მისი მესამედ მოპოვების შემდეგ სამუდამოდ გადაეცა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას (ეს თასი, როგორც გახსოვთ, ერთხელ უკვე დაიკარგა ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაგრამ მალევე იპოვეს). გამტაცებლებმა „ხელს გააყოლეს“ ბრაზილიელ ფეხბურთელთა ორი სხვა სპორტული ნადავლიც.

პოლიცია ეძებს დამნაშავეებს.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 23 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუღლია.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

თბილისის №108 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1984 სასწავლო წლისათვის მლე სავ-მეფილე-მომპირკეთებლის სპეციალობაზე



სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 10 თვე.

მოსწავლეებს ენიშნებათ სტიპენდია 30 მანეთის ოდენობით, ხოლო საბჭოთა არმიის რიგეებიდან დემობილიზებულებს — 70 მანეთი.

წარჩინებულ მოსწავლეებს ეძლევათ 25 პროცენტით გადიდებული სტიპენდია.

საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეებს მიეცემათ დამატებით გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი.

მსურველნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო საერთო საცხოვრებლით და თბილისში ჩაწერით.

საპიროების შემთხვევაში უფასოდ მიეცემათ საგზურები სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში.

არსებული კანონის მიხედვით, წვევამდელ მოსწავლეებს ენიჭებათ ჯარში გაწვევის გადავადების უფლება.

სწავლის პერიოდი ოთვლება უწყვეტ შრომის სტაჟად.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს გარანტირებული ექნებათ სამუშაო ადგილი ქ. თბილისში, მშენებლობის სამინისტროს მე-14 ტრესტში, აგრეთვე აყვანილი იქნებიან შემოკლებულ ვადებში ბინის მიღების აღრიცხვაზე, მშენებელთა 10 პროცენტის ფონდიდან.

ფრიადოსანი კურსდამთავრებულები მიიღებენ წარჩინების დიპლომს და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას სარგებლობენ ოქროს მედალოსნის უფლებით (როგორც საშუალო სკოლის მედალოსნები).

მოსწავლეები, რომლებსაც ექნებათ ოთხები და ხუთები, უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების მონათესავე სპეციალობაზე ჩარიცხვისას სარგებლობენ უპირატესობით, დანარჩენებს შეუძლიათ უკონკურსოდ ჩარიცხონ უმაღლესი სასწავლებლის საღამოს ან დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე; განათლების მოწმობა (დედანი); დაბადების მოწმობა (დედანი); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5 ფოტოსურათი (3X4); ავტობიოგრაფია; დახასიათება; სამედიცინო ცნობა (ფორმა 286).

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე.

მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, გლდანის მასივი, ჭერჩის შესახვევი, № 8 (მილიციის სკოლის გვერდით); ტელეფონი: 67-56-04;

ლენინის ორდენოსან „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს გაზაზე ჩამოყალიბებული

თბილისის №154 სამშენებლო ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებული ახალგაზრდების მიღებას გვირაბგამყვანის სპეციალობაზე

სასწავლებელში სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 112 მანეთის ოდენობით და მუდმივი საწარმოო პრაქტიკის პერიოდში ობიექტებზე გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს. სწავლის წარჩინებულებს 25 პროცენტით ემატებათ სტიპენდია.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით და თბილისში ჩაწერით. ის მოსწავლეები, რომლებიც წარჩინების დიპლომით დამთავრებენ სასწავლებელს, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას სარგებლობენ ოქროს მედალოსნის უპირატესობით.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საშუშაო სტაჟად.

საბაზო საწარმო სწავლის დამთავრებისთანავე ახალგაზრდებს მუდმივად ჩაწერს თბილისში და აპყავს ბინის მიღების აღრიცხვაზე წესით დადგენილი თბილისში ცხოვრების აუცილებელი დროის გარეშე.

სწავლის მსურველებმა უნდა წარუდგინონ მიმღებ კომისიას საერთო წესით დადგენილი საბუთები.

სწავლა დაიწყება 1984 წლის 15 იანვრიდან.

სასწავლებლის მისამართია: ქ. თბილისი, ბარიშვილების ქ. № 6 (ლენინის რაიონი). ტელ: 66-40-33, 66-46-03, 66-46-74.

მოსახლეობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური ბიურო

აცხადებს ყველა სამშენებლო სპეციალობის მუშათა ორგანიზებულ შეგროვებას საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ სამუშაოდ.

მუშებს, რომლებსაც არა აქვთ პროფესია, ექნებათ შესაძლებლობა შეისწავლონ ადგილზე.

შრომის ორგანოები მუშებს გზავნიან შემდეგ ქალაქებში:

ულან-უდე — „ულანუდეტრანსმშენის“ ტრესტი;

ორენბურგი — „ორენბურგტრანსმშენის“ ტრესტი;

ტოლიატი — „კუიბიშევჰიდრომშენის“ ტრესტი;

კურჩატოვი — კურსკის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველო;

გურიევი — „გურიევნავთობქიმმშენის“ ტრესტი;

სემიპალატინსკი — „სემიპალატინსკრეწვმშენის“ ტრესტი;

ცელინოგრადი — „ცელინოგრადმძიმემრეწვმშენის“ ტრესტი;

რუდნი — „სოკოლოვრუდმშენის“ ტრესტი;

როსტოვის ოლქი — „ვოლგადონსკენერგომშენის“ ტრესტი;

შრომითი ხელშეკრულება მუშებთან ფორმდება არანაკლებ ერთი წლის ვადით. ორგშეგროვებით გაგზავნილი მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით. შრომის ანაზღაურება ძირითადად სანარდო და აკორდულ-პრემიულია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შრომის ხელშეკრულების გასაფორმებლად შეგიძლიათ მიმართოთ შრომის განყოფილებებს, ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროებს და შრომის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებულებს.

ᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲐ!

ახლოვდება საახალწლო დღესასწაული. კულტურის სახლებში, სკოლებში, საბავშვო სახლებსა და დაწესებულებებში მრავალი საახალწლო მასობრივი ნაძვის ხე აინთება

ყველა ხელმძღვანელს შევახსენებთ, რომ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საახალწლო ნაძვის ხის მოწყობა შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან.

სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ობიექტების ხელმძღვანელებს.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართეთ ადგილობრივ სახანძრო დაცვის ორგანოებსა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა

კოტე პეტრეს ძე დიდებაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

21 დეკემბერი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 9.50 — „20 დეკემბერი“. პირველი სერია. 10.55 — მოგზაურთა კლუბი. 11.45 — საოპერო სცენის ოსტატები. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „ეს უკრაინაა“. 16.20 — „მე საბჭოეთის ვარ მოქალაქე“. 17.25 — „საყვარელი ლექსები. ვ. ვ. მაიაკოვსკი. 17.55 — ახალი ამბები. 18.05 — საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ 50 წლისთავის გამო. 18.35 — სტადიონი ყველასათვის. 19.05 — დოკუმენტური ფილმი. 19.45